

ლიტერატურული გაზეთი

№ 8 (120) 25 აპრილი - 8 მაისი 2014

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

რაულ ჩილაჩავა

აიაქსი

თვალს თუ მიაპყრობთ, მიკიდია აი, აქ, სია
ძველი გმირების... მანდ ერთ-ერთი აიაქსია,

ვინც სასტიკ ომში ტროელები უღვთოდ აგორა
და ვის სახელსაც არ ივინყებს დღემდე აგორა.

როს გაზაფხულის ფარდაგს ველად ია-ია ქსოვს,
მე მეჩვენება, რომ იგია სააიაქსო.

მე მეჩვენება, კვლავ ფარ-შუბის ასხმის დროა და...
თვითმკვლელის ბოლო ამოგმინვა მესმის ტროადან.

II

გივი ალხაზიშვილი

„გავლენის შიში“

უკვე მერამდენედ მესმის, რომ მავანს ტომას ელიოტი არ მოსწონს და გალიზიანებული ლაპარაკობს მის ლექსებზე და გვირჩევს, რომ ჩვენ არ გამოგვადგება პოეზიაში მისი გზა. ერთ-ერთმა ელიოტის დამწუნებელმა გამიმხილა, ვერ ვკითხულობო მის ლექსებს. მათი ლაპარაკიდან გამოსჭვივის საფრთხე, რითაც თურმე ელიოტის სტილისტიკა ემუქრება ქართულ პოეზიას და ესენი თითქოსდა იცავენ მსგავსი ექსპანსიისგან ქართულ პოეზიას. ბოლო რესპონდენტს ვკითხე: დამისახელეთ ქართულ პოეზიაზე ელიოტის გავლენის ორიოდე მაგალითი! ან დამისახელეთ ქართველი ელიოტი, ვინც გამუდმებით ბაძავს მას ან ვისზეც ელიოტმა სერიოზული გავლენა მოახდინა! ვერავის ასახელებენ და არც არგუმენტი გააჩნიათ. საიდან გაჩნდა ელიოტის გავლენის შიში და რატომ ქმნიან ამ გენიალური პოეტისგან მტრის ხატს, გაუგებარია!

სამწუხაროდ, საქმე გვაქვს მორიგ გაუგებრობასთან, უფრო სწორად, ელიოტის არცოდნასთან, ვერგაგებასთან, რამაც ასე გააგულისა და გაააგრესიულა ადგილობრივი გაქანების მესტიხეები. ამ ტიპებს ვურჩევ, წაიკითხონ ჰერალდ ბლუმის შესანიშნავი წიგნი „გავლენის შიში“ — თუ, რა თქმა უნდა, მოიცლიან წიგნის წასაკითხად!

აქ წარმოჩნდა განსხვავებული სტილისტიკის, უფრო სწორად, განსხვავებული ესთეტიკის და მსოფლმხედველობის შიში. გამოჩნდა აგრეთვე სურვილი, ყველამ „ჩვენებურ ტრადიციაში“ შპოვოს სივრცე. თემატიკა და პათეტიკა იგივე და შეძახილებიც ისეთივე, მქუხარე ტაშს რომ იმსახურებენ. „ჩვენებურ ტრადიციას“ უწოდებენ იმ ანაქრონიზმს, რასაც და როგორც ისინი წერენ, ადგილის ტკეპნას და მათ ძირითად პროფესიასთან (ხელობასთან) გაიგივებულ ფსევდოპატრიოტიზმს. მათზე 90-იან წლებში ასეთი ორსტრიქონედი დავბეჭდე:

ვინ შეაგროვა ამდენი ყბედი,
შენუხებული სამშობლოს ბედით?

ზოგიერთმა ღმერთს შეავედრა ქართული პოეზია — უფალო, გადაარჩინე ქართული პოეზია! იქნებ ისმინოს უფალმა მათი ვედრება, როცა თვითონ შეძლებენ უკეთ წერას. ნებისმიერ დარგში, მათ შორის მწერლობაში, არაფერია იმაზე უფრო პატრიოტული ქმედება, ვიდრე პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმით ნაკლები სპეკულირება.

III

ჯარჯი ფხოველი

და სიტყვა

და სიტყვა: ავად ყოფნის მარილი...
და სიტყვა: შავად ჩაგწივის, განჯღრევს...
და სიტყვა: საღვთო საჩუქარივით...
და სიტყვა: შენ რო გიღერებს ხანჯრებს
იმ წამში, როცა აღარ ეკუთვნი
თავისთავს, როცა ყოფნას ინანი...
როცა შიგ სულში გტკივა კუნთები
და გკარნახობენ კაცნი, წინანი
სიტყვას: შავეთის ლოკე მარილი...
სიტყვას: სიტყვები გტკივა ამ ღამით!..
და სიტყვა: თითქოს ლეთეს ქარივით...
და სიტყვა: უფლის თვალთა ხამხამი...

IV-V



იდილია

მაგიდაზე ჩაია და კექსი,
მაგიდასთან – პრეზიდენტი... ექსი.
ბუხრის პირას კატას ლოკავს რექსი,
თაროზე კი თითქოს სასჯელს იხდის
ელიოტის ელიტური ლექსი.

სოხუბი

მონადირემ ალიონზე
მეძებრები იხმო ხობთან.
ო, რა საოცარი იყო
ცაში აჭრა იმ ხობობთა!

შემოდგომის მიწურულზე
ბალახები ხომ ხმებიან,
მაგრამ იმათ რა გაახმობს,
რომლებშიაც ხობებია!

აკთან

პალატაში შემოვიდა ექთანი,
ნამალია ეგ თვალები, ეგ ტანი,
გენებია მათში ბეგთა-ბეგთანი.

ჩემი მხსნელი განა მართლა აბია!..
ბედის ხეზე რაც ნაყოფია აბია,
სულ ხელში აქვს გოგოს სიზმრისკაბიანს.

სარკმლის მიღმა ზუზუნებენ მწერები,
დგომისაგან მტკივა ფეხისწვერები...
მე აქედან ველარ გავწვნივები!

ალაგვი დანა

სიკვდილი ბლაგვ დანას არაპირებს,
ის დადის იდუმალი რაპირით.
ხალხს როგორ ენახებდა, რა პირით,
სიკვდილს ხომ არავინ არ აპირებს.

ის ამბობს: „რის პირობა, რა პირობა,
პირობა არავისთან დამიღვია.
მერე რა, თუკი მსხვერპლს დამითვლიან!..
გრძელდება ბლაგვი დანის რაპირობა.“

ტარზანი

ცხელი ივლისი... ღია ცის ქვეშ გადის „ტარზანი“.
მთვარის მსუბუქი ელვარება ვარსკვლავებს ჩითავს.
ბაობაბებზე მაიმუნობს თავისთვის ჩიტა,
ჯუნგლის ბინადართ მბრძანებელთან მიაქვთ არზანი.

ამ ქვეყნად, ნეტავ, სოფლის ტვირთი ვიღამ არ ზიდა!
და როგორ უნდა არ შეგშურდეს ტარზანის, ჩიტის,
რომლებსაც შვენიტ სიკისკასე ფრთალაღი ჩიტის,
შენ კი გმინვა და კვენა გესმის ყველა არზიდან!

პირველი მსხვერპლი

ისმის ტალღების ხვნეშა ფოთიდან,
ცვივა გარშემო სიბნელის ფერფლი.
ლამემ აღმართა ეშაფოტი და
მთვარეა მისი პირველი მსხვერპლი.



რაულ ჩილაჩავა

კატალოგი

თუ ზედმეტად შეიჩვიე, მოგთხოვს ერთხელ კატა ლოგინს,
არ ეყოფა სავარძელში განცხრომა და მშვიდად თვლენა
და შენ ნახავ, სიყვარული როგორ გახდა ანათემა...
მე ამნაირ შემთხვევათა ვიცი მთელი კატალოგი.

ფასადი

ყველაზე დიდი საიდუმლო ძველი ფასადის,
არის წარწერა კუბოკრული, რომლის ფასად ის
შენობა იქნებ არც კი ღირდეს... მაგრამ ფასადებს,
რომელთა მიღმაც სამალავი აქვთ ამბასადებს,
შვენიტ სხვა ხიბლი და ეპოქაც მათ სხვა ფასს ადებს.

თავსება

როგორც წვიმაში უქოლგო მგზავრი,
დასასველებლად ვარ განწირული.
მომაქვს საგზალი მცირე, მწირული,
და მახსენდება ბავშვობა, ყავრით
დახურულ სახლში რომ გავატარე,
სადაც წვიმისთვის შედგმული ტამტი
უკრავდა შოპენს... იმ ხსოვნის ნაშთიც
ამ საგზალშია... და მე ვადარებ
გაბმულ თავსებაში სიარულს ჩემს გზას
(რაც დაღლილ სხეულს ელდად დაუარს!)...
გავყურებ ფიქრში მთვლემარ ტაუერს
და... ჩემი დარდი თან მიაქვს ტემზას!

ხეცვა

მე ასე ვხედავ დღეს უკანასკნელს
და განმკითხველის ვიზიტს:
რასაცა გაცემ, დაკარგულია,
რასაც არ გაცემ – ისიც!

მოდის თქეში

თითქოს ჭექა-ქუხილისგან ცისკიდური გაიხა და
მოდის თქეში... დედამინამ სამოსელი გაიხადა.

ჯიქურ მოვარდნილი ქარი ალვის ხეებს აქანავებს,
ფოთლებს, ღვარში მიმოფანტულს, იქაგემებს, აქ ანავებს.

ეს ტალღები აყალყული თითქოს მოდის ანგარიდან,
თვითმფრინავმა ვერ გამოჰყო ცხვირი თავის
ანგარიდან.

ვერ შეამჩნევს ვერსად თვალი სულიერის ჭაჭანებას,
მინდა კარში გავიდე და დამრთავს კიდევ ჭაჭა ნებას.

რუბიკის კუბიკი

ჰგავს ეს ცხოვრება რუბიკის კუბიკს
და მსაჯულია თვითონ რუბიკი:
ამას – ტუგრიკი, იმას – რუბლიკი,
მას – სულაც სისხლი პირველი ჯგუფის.

ყველა საკუთარ საუნჯეს ჰყიდის:
სპექტაკლს – რობიკო, კუბიკს – რუბიკო.
ცალ-ცალკე ველტვით ჩვენ-ჩვენს რუბიკონს,
და ვართ მძევლები ჩვენ-ჩვენი ხიდის!

მარტი

ჩვენ ვსვამდით „ასტი მარტინს“.
ვწუხდით: „ასეთი მარტის
მომსწრე არა ვართ დღემდე!..
პარკში მუხები თვლემდნენ
და ცივი წვიმა ცრიდა.
ჯერ კიდევ ზამთრის წრიდან,
ჯეირანივით მარდი,
გაჭრას ლამობდა მარტი.

მზა-სამურაი

მზე თითქოს მკაცრი სამურაია
და გაიკეთებს მალე ხარაკირს.
ვინმემ ბოლომდე გაიხარა კი,
ამ ქვეყანაზე?.. სამი რაია
ან უფრო სწორად – სამი რაისა –
ბრუნდება ტყიდან... სოკოს კალათებს
უკანასკნელი სხივი ანათებს –
სხივი თვითმკვლელი სამურაისა.

დეზდემონა

მოკლედ: ქალაქში მოკლეს ტრამვაი...
რელსებს აღმოხდათ „ვაი!..“ ამ „ვაის“
მოჰყვა ქარები... ფოთოლთა ცვენა...
მახსოვს კრაკოვი და მახსოვს ვენა,
სად მრავლადაა მყუდრო ალაგი
და ნელი რწვეით და ზანზალაკით
ვინრო ქუჩებში – წარსულის მგზავრი –
დადის ტრამვაი... პროგრესი-მავრი
მას ვერ ერევა, ვერ სდევს დემონად...
და მხოლოდ ჩემი გულქვა ქალაქის
მონგრეულ მორგში წევს... დეზდემონა.

ბარჟა

როგორც ნოქარი ნისიის რვეულს,
როგორც აზიზი მოდელი სხეულს,
მე ვუფრთხილდები შენს ცრემლებს, ნთხეულს
ჩემს მხრებსა ზედა.

ნისლში ზოზინით მიცურავს ბარჟა,
ქვიშასთან ერთად ჩვენს ნაქონ მარჯანს
მიათრევს... ხეზე, რომელიც არ ჩანს,
ყვავები სხედან.

„სიტყვის პატრონი“

ვიტყვი: „ნაჭუჭში ჩავიკეტები,
შორს დარჩებიან შავი გედები,
ტბა, ფანჩატური, შუადღის ყავა
და ბელაფონტეს უკვდავი „ჰავა-
ნაგილას“ ჰანგი... მზით გარუჯული
ბანოვანების ტკბილი ჩურჩული,
მიდამოები, ღვთის საკადრონი...“
და... უცაბედად გამიხარდება,
რომ არ ვარ, თურმე, სიტყვის პატრონი!

ანგელოსთა აკაპელა

სცენა — უორატორიო,
უსკერცოლო, უკანტატო.
მოჩანს ორი სილუეტი:
წინ – კატინა,
უკან – ტატო.

თითქოს სიყვარულის ალვას
ღმერთი ტოტებს აქ აბელავს
და შორ მოთქმასავით ისმის
ანგელოსთა აკაპელა.

ციტატა

რა დიდი გოგო გაზრდილხარ,
მე კი მახსოვდი ციდადა,
ვით საყვარელი წიგნიდან
ამორჩეული ციტატა.

ახლა გიმზერ და მგონია,
ხარ ციტატების აკიდო.
ფრთხილად იყავი, კითხვისას
ვინმეს ცოდვა არ აკიდო.

განწყობილება

ახლა ისე ვარ, როგორც დავითი,
როცა დიდგორი გადაიხადა.
თითქოს ცისკიდე გადაიხა და
ვარსკვლავებს თითო-თითოდ დავითვლი.

ღმერთი და რჯული!..ახლა ისე ვარ,
თითქოს სამყარო დამირჩა ვალში
და რომ შეჭამა სამოთხის ვაშლი,
ჩემთან შემოვა სწორედ ის ევა!

„ჯენტლმენი ჯეკი“

როგორც ოდესღაც „ბერიოზკას“ ნანატრი ჩეკი,
სტიუარდესამ მომანოდა „ჯენტლმენი ჯეკი“.

მიწის დონიდან ცხრა კილომეტრს ვერ გრძნობდეს
თითქოს,
გული გალალდა, დასაღვეს და გასართობს ითხოვს.

ქვევით რა ხდება, ახლა მაინც მე არ მეხება,
ნეტარებაა, ნირვანაა ცასთან შეხება.

ჩემს ქვეყანაში ძმის ღალატი, დამპყრობლის ჩექმა
სხვა ქვეყნის ცაში დამავინცა „ჯენტლმენმა ჯეკმა“.



გივი ალხაზიშვილი

ცვალებადი რაკურსი

ძალიან მიხარია, რომ დაარსდება ვაჟა-ფშაველას სახელმწიფო ლიტერატურული პრემია. მინისტრთან შეხვედრისას შევთანხმდით, რომ ეს პრემია უნდა იყოს ისეთივე დონისა და პრესტიჟის, როგორც ვაჟა-ფშაველას სახელია. ამ პირობის შესრულება რთულია, მაგრამ აუცილებელია. პრემიის გაცემისთვის სამსლიანი ინტერვალი სრულიად საკმარისია. მე პირადად იმასაც ვფიქრობ, რომ თუ შესაფერისი კანდიდატურა არ გამოჩნდა, გადავდეთ ამ პრემიის გაცემა მომავალი სამი წლით. იგივე უნდა განხორციელდეს რუსთაველის პრემიის მინიჭებისას. აქვე ერთი შენიშვნა მინდა, გამოვავტყვევო: ერთპიროვნულად, ჟიურის გადაწყვეტილების გარეშე გაცემული რუსთაველის სახელობის პრემიები აუცილებლად უნდა გადაიხედოს და გაუქმდეს, რადგან პრემია დებულების უხეში დარღვევით განაწილდა და მხოლოდ მაშინდელი ზემდგომი კაპრიზი აღსრულდა და არა ჟიურის გადაწყვეტილებით. ასეთი ნეგატიური პრეცედენტის დაკანონება ნამდვილად სამარცხვინოა და მიუღებელი! გაუწიოთ ანგარიში გაყალბებული პროცედურის შედეგად დაჯილდოებულებს და გაცემულ თანხას ნუ მოვითხოვთ.

სრულიად ბუნებრივად მახსენდება ცხონებული გივი ძნელაძე, როცა მან ერთ პოეტზე, რომელმაც მესამე ცდაზე მიიღო რუსთაველის პრემია, თქვა: პრემია კი მიიღო, მაგრამ რად გინდა, ლაურეატი მაინც ვერ გახდა! დარწმუნებული ვარ, იგივეს იტყვიან მათზეც, ვინც კანონდარღვევით გახდა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ლაიკომანია თუ ლაიკაშია?!

გახსოვთ ალბათ ორტევა ი გასეტის „მასების ამბოხი“. ეს პროცესი აქაც აისახება — სოცქსელში. ამიტომ გავააქტიუროთ ლოზუნგი: მასებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!!!

აქ ჰყვავის მასკულტურა, აქ მკვიდრდებიან მასკულტურული ლიდერები და სიამაყით შეპყრუებენ უთვალავ ლაიკს. ამ პროცესს პირობითად დავარქვათ მასკულტურული ლაიკომანია და შევეგებოთ მქუხარე ტაშით დროებითი უკვდავების გრანდებს!

ისინი ერთმანეთს მოიცავს

დინამიკას პოეზიაში თითქმის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სიყვარულში. ვინც ამ დინამიკას ვერ ფლობს, ის ვერ ფლობს ვერც სიყვარულს და ვერც პოეზიას.

პირველ ნაპერწკალს ეროსი აჩენს, მერე უკვე ჩნდება აგაპე — გზნების სიკეთისკენ მიმმართველი. ესეც დუეტია, ერთმანეთს რომ ასაზრდოებს და აარსებებს, სიცოცხლით ალაგებს... და ეს ჰარმონია ღვთაებრივი ნიშნისა იმისა, რომ ეროსი და აგაპე ერთმანეთს მოიცავს და უერთმანეთოდ კარგავს მთავარს, სისრულეს, სისავსეს და ნაკულაობა.

როცა დინამიკის და სიყვარულის ფლობაზე ვსაუბრობ, მე ვგულისხმობ ალღოს, როცა სიყვარული და პოეზია ეუ-

ფლება ადამიანის სულს და აღამაღლებს. ეს სიმაღლე განაპირობებს თვალსაწიერის და წვდომის მნიშვნელობას, რაკურსის მომცველობას და სიღრმეს!

ჭირი

პოეტიკის ზედმინევენით ცოდნა, ყველა წესის და კანონის დაცვა, თუნდაც თითებზე გადათვლილი მარცვლები, როცა მუსიკალური სმენა არ აქვს ლექსმცოდნეს, არ ნიშნავს პოეზიის ცოდნას. არც გემოვნება განისაზღვრება ასეთი ცოდნით, არც ვერსიფიკაციის ფლობა უდრის პოეზიას. ამის მაგალითი არსებობდა და არსებობს, მათ შორის ლექსმცოდნეებში, ვინც წერდა და დღესაც წერს ლექსებს (ვირსებს) და არა პოეზიას. არსებობს რაღაც, რაც არ ისწავლება და უნდა შეეგუო, რაც გაქვს ან არ გაქვს. არანაირ ლექსმცოდნეობრივ განსწავლას არ შეუძლია პოეზიის გაგება, თუ ის არ იცი, რაც არ ისწავლება. წესების დარღვევა ან კონოტაციური მტყუყვლება, ნებისმიერი სწორხაზოვნების გაქრობა საკმარისია, რომ ნაკლული ნიჭის პატრონი, რაც უნდა ბრწყინვალედ ფლობდეს ლექსმცოდნეობას, ბრინჯივით იბნევა და მისი გემოვნების პირობითობა, უფრო სწორად საეჭვო გემოვნება, მყისიერად მუღავნდება და მისი, როგორც პოეზიის ექსპერტის ნდობა არათუ ეჭვქვეშ დგება, არამედ თვალსა და ხელს შუა ქრება!

ახლახან დაუფკვირდი ერთი კრიტიკოსის ციტირებულ და უაღრესად მოწონებულ სტროფებს და სტრიქონებს და გადავწყვიტე ეს ჩანაწერი მომეწონა და გამეგრცო. თუმცა, ამ ექსპერიმენტის ჩატარებას აზრი არ აქვს, რადგან თვითონვე წერს თავის განაწინებს ნებისმიერი ავტორის შეფასებისას. კლასიკის ციტირებისას, მიზეზთა გამო, თავს დაცულად გრძნობს, მაგრამ მიმდინარე ლიტერატურული პროცესი ლაკმუსივით არის და ადვილად ჩნდება ყველაფერი, მეტადრე მაშინ, როცა კარგ სტრიქონებს გააგებულ კომენტარს დაურთავს და თავის სიბრიყვეს არა მარტო ამჟღავნებს, არამედ ხელმძღვანელობს ადასტურებს. ასეთივე უკუღმართ შედეგს ვლებულობთ იმავე ავტორისგან რაიმეს შექებისას.

უნიჭობა ერთგვარი ჭირია და ცხადია, თავს ვერ მალავს!

ასევე საინტერესო თემაა ნაივის ბურქებში შემძვარალი პრიმიტივისტები, როცა ვერფლობას ასაღებენ ნაივად და ვერა გაუგიათ რა ნაივური პოეზიისა, რადგან ისინი პოეზიად მიიჩნევენ ისეთ ტექსტს, რომელიც ფიზიკურად ამ საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ შინაარსობრივად, ეს-თეტიკური კრიტერიუმით, მსოფლმხედველობით ხალხოსნების მიმდევრები არიან და ყალბი პათეტიკური ბალასტი ჰგონიან „ჭეშმარიტი პოეზია“.

აქტუალური ანაქრონიზმი

ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ ჩვენში განსაკუთრებულ პატივშია სალონურ-კამერული პოეზია, ნამდვილი ან ნამდვილს მისგავსებული სინაზე თუ სიფაქიზე, მოჩვენებითი და ნამდვილი მინიმ-

ნების ზღვარზე შუქის ან ბიჟუტერიის გამოკრთობა, სათქმელის შეფუთვა არაფრისთქმაში, ვითომ მრავალმნიშვნელოვან უთქმელობაში, რასაც უნდა მოჰყვეს საამისოდ განწყობილი მკითხველის თუ მსმენელის ოვაცია და აპლოდისმენტი.

ინერცია, რომელმაც ჩაითრია ავტორთა საგრძნობი ნაწილი, და ალბათ ეს ასეც უნდა იყოს, თითქმის შეჩერებულია, მაგრამ ჯერ კიდევ აწვებიან უიმედოდ გაჩერებულ მანქანას და მიაგორებენ თავდაღმართში, სადაც იოლად იპოვის უმისამართოდ დაგორების შესაძლებლობას.

წარმოიდგინეთ ასეთი გემოვნებით გამსჭვალული „ავტორიტეტი“, რომელსაც მიანდეს ამა თუ იმ პოეზიის ანთოლოგიის შედგენა. შედეგი რამდენჯერმე ვინვინით, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, გადავადდა იმ ავტორთა დანახვა, როლებსაც ისედაც ხედავენ და გვერდს გულგრილად უვლიან.

ცალმხრივ, პრიმიტიულ მსოფლალქმას მოჰყვა „მესტიხეობა“, სადაც პოეზია ნაკლებად არის და თუ არის, მხოლოდ კამერულ-სალონური, ანუ სათბურის პოეზია, სადაც ნამდვილი სიცოცხლე არ სუფევს. ასეთი მიდგომა დღეს ნორმად აქციეს ფსევდო-ექსპერტებმა და სხვანი, როგორც ყოველთვის, მექანიკურად იმეორებენ ერთსა და იმავეს.

ჩვენ უკვე მივჩვიეთ, რომ ამგვარ „პოეზიაში“ თავმოყრილი თუ ასახული ფლორა და ფაუნა უთვალავჯერ აღემატება საქართველოში არსებულ მცენარეულ საფარს და გარეულ ცხოველებს.

ამიტომაც, ასეთი ავტორები და მკითხველები საზრდოობენ მხოლოდ შეძახილებით და ცრუ პათეტიკით, რაც მიბმულია ჩვენში ესოდენ აქტუალურ ანაქრონიზმზე.

ამის ცოცხალი მაგალითია ხალხური პოეზიის ბრწყინვალე ზიგების და მინერალის აქტიური გადაკეთება-მითვისება და ამ შეჯვარებით მიღებული კიჩი, ანუ ტექსტები, რომელშიც იგივეობა გააფეხული და ლამის ორიგინალურ შედეგებთან ათანაბრებენ ვიღაცები.

ამ ჩანაწერს მხოლოდ ერთი ფუნქცია აქვს — აღვნიშნო, რომ ჩვენ ვხედავთ რა და როგორ ინერება!

ვისაც როგორ შეუძლია, ისე წერს... ეს ფრაზა უნდა მოვიშველიო საწუგემოდ.

ოდესღაც ვაგენრი ბრაზობდა იმ კომპოზიტორებზე, რომლებიც ცდილობდნენ, მსმენელთათვის თავი ისე წარმოეჩინათ, როგორებიც სინამდვილეში არ იყვნენ. მაშინ ერთმა კომპოზიტორმა, ასევე გამოჩენილმა, ვაგენრი დაამშვიდა: ყველა ისე წერს, როგორც შეუძლია...

ქვეყანას ყოველთვის ძალაუფლებით აღჭურვილი ამბიციური უზნეოები ანადგურებენ. მეგალომანიით შეპყრობილი უგუნური მსოფლიო მასშტაბებს ეთამაშება, რადგან ხელი უკვე დაიბანა, აღივსო პილატესგან ბოძებული სრული უდანაშაულობით, თითქმის ყველას დაუსხლტა, გარდა საკუთარი თავისა, ვისიც ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს!

საერთო დრო

შენი და ჩემი დრო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ანმყო საერთო გვაქვს. განსხვავება ჩვენს რეალობებს შორის იმდენად საგრძნობია, რამდენადაც შენ ვერ ამჩნევ სხვაობას, რადგან სტერეოტიპზე აგნიყვია ყოველდღიურობა.

მე არსად მეჩქარება შენგან განსხვავებით და საკუთარ მოცალეობაში ვარსებობ იმ დროის კარნახით, ღვთისგან რომ მაქვს ბოძებული და არ არის მექანიკური და ელექტრონული საათების ნაწყალობევი. ამიტომ არ უნდა გაიმეორო უაზროდ, დაუფიქრებლად, მეტირული შენიშვნა, მეტადრე მაშინ, თუ შენიშვნა ზედაპირულია და სიღრმეში ნუთითაც არ შეყვინებულია.

თანდათან ყველანი გაუჩინარდებით, მაგრამ უწყვეტი პოპულაცია ასხვავებებს, აუჩინარებს და ნაკლისს, ინარჩუნებს, როგორც ადამიანურ რესურსს, ასევე ანესრიებს ქალაქში ბელეგების, მწერების და ქალაქელი ყვავების და ჭილყავების ბალანსს.

დავასრულებ იმით, რითაც დავიწყე, მიუხედავად საერთო ანწყისი, რომელიც საერთო საცხოვრებელს მაგონებს, ასევე

არის დრო, რომლის არსებობის შესახებ არაფერი იცინა ზოგიერთებმა, ვისაც ეჩვენება, რომ საკუთარი აზრი გააჩნია. აზრის გამოთქმის თავისუფლება არ ნიშნავს ყველა ეთიკური ზღვარის დარღვევას, მეტადრე უარყოფას. იყავ შენთვის, ჩემო ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, მაგრამ ეცადე, სულში არ ჩამიძვრე! თუთიყუშით ნუ გაიმეორებ იმას, რაც გონებაში კი არ მომნიფებულა, არამედ დაუფიქრებლობის ზედაპირზე წამოტივტივდა, როგორც მიმზიდველი ფიქცია.

გავიმეორებ: ჩვენი საერთო დრო ან-მყო, რომელიც გაურკვეველი დროის შემდეგ იქცევა წარსულად და გვიან მიხვდები იმას, რასაც ახლა ვერ აცნობიერებ მექანიკური დინების გადამკიდე. შენ რომ ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი ხარ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, მაგრამ გირჩევ, ნუ აყვები ზედაპირის კარნახს, რომელმაც არაფერი იცის იმ სიღრმის შესახებ, რადგან შეუძლებელია იცოდეს ის, რაც არ უგრძნია და გაუთავისებია, რაც არ გააჩნია.

რადგან ერთადერთი რეალური დრო, როცა შეგეძლია რაიმე გავაკეთოთ, არის ანმყო, სწორედ ანმყოში აუცილებელი იმ განაზრების რედუცირება, რომელიც მომავალში, მაშინაც კი იარსებებს, როცა ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად აღარ ვიმართლებ. ინტენცია იმაზე უნდა იყოს მიმართული, რისი ამოცნობაც შეუძლებელია, მაგრამ საიდანაც გამოდნება ან გამოკრთის ის სინათლე, რომელიც მხოლოდ იქიდან იღებს სათავეს.

თავსომოხვეული „სიღიადა“

ჩვენში ისევე ძლიერია ვინმეს ან რაიმეს კულტად ქცევის მოთხოვნილება. კულავ მინდა შეგახსენოთ ბორხესის სიტყვები: „ყოველიან კულტს ახასიათებს რაიმე ის ზომამდე განდიდება, რომ ის ბოლოს არარად იქცევა“. ასე იქცნენ ჩვენში არარად დითირამებით შემკული და გამოგონილი კულტები! ის, ვინც კულტის დამკვიდრებას ხელს უწყობს, ჩვეულებრივი კერპთაყვანისმცემელია.

სამწუხაროდ, კერპთაყვანისმცემელთა სექტა არას ფიქრობს კერპის გარდუვალ მსხვერველსა და შესაბამის მწარე ხვედრზე. უცნაურია, მაგრამ კოლექტიური ფსიქოზი, მავანის გაფეტიშებამ რომ ყიფინის თანხლებით აავგრო, სინამდვილეში მსხვერპლშენივოს რიტუალია, რადგან იგი თავიდანვე განწირულია მარცხისთვის და ნებაყოფლობით ექვემდებარება თავს-მოხვეულ „სიღიადეს“ და პათოლოგიურ ხიბლს!

ვირტუალური მაქინაციები

„მზრუნველი“ თვალი და ხელი არ აკვლია ფეისბუქში ლიტგვერდებს. საინტერესოა, რა ღირს „მონონება“ და ვის ალაფრ-თოვანებენ ამ ვირტუალური მაქინაციებით?

საყოველთაოდ დამკვიდრებულია თავის მოტყუება და, შესაბამისად, სხვათა დარწმუნება ცრუპოპულარობაში. პროფანულობა დიდი ხანია ზეიმობს ეგრეთ ნოდებულ „საზოგადოებაში“ და ამას ვერაფერს გაექცევა, ვერც მივინყვებული, გარდაცვლილი მწერლის ოჯახის წევრები და ნათესავები და ვერც ცოცხალ-მკვდარი მიზანტროპის ხელისბიჭები, რადგან გამოგონილი „სიმართლის“ ჭეშმარიტებად შემოსალება თავს იჩენს ყველგან, განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში. ამიტომ ხშირად გამიზნის თვალი და ხელი ლილაკისკენ, სადაც წერია delete. თუმცა ამ ლილაკის გამოყენებაც აუცილებელია, წაშლის პროცედურას ადამიანზე უფრო მარჯვედ დრო ახერხებს, ანუ ის ყოფა, სადაც სამუდამოდ დამკვიდრება გადაწყვიტეს საბრალო მეგალომანებმა.

ისეთი „აღიარებული ლაიკოსნებიც“ გამოჩნდნენ, რომლებიც ქართულენოვან ეთნოსს მილიონობით აღემატებიან. ამ ტრაგიკომედიის ფონზე საბრალოდ გამოიყურება მრავალათასიანი რეიტინგები, რომლის შეკონინებაში გაჰყავთ ცხოვრება ჭირისუფლებს, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მთავარია საკუთარ უკვდავყოფაზე ზრუნვა. რა აზრი აქვს, შენ ნიგნს ვინ გადაფურცლავს, მკითხველი თუ ქარი?! „ქარი სულია, არეინ იცის საიდან მოდის და საით მიდის“...

აქ ხომ ბევრი რამ აღმოაჩინე:
აღმოაჩინე თავბრუდამხვევი
სტრიქონები და სტრიქონები,
ლექსები და კვლავ ლექსები,
და წიგნები და კვლავ წიგნები...
ზოგი რო კიდევ მოინონა ვინმე მავანმა!..

ეხლა, მოდი, კიდევ ესეც აღმოაჩინე:
გამოიგონე ისეთი რამ,
აქ ფულზე რომ ვერ გაყდიან:
სამშობლო და კვლავ სამშობლო:
საქართველო, თავზარდამცემი!

გამოიგონე ის საქართველო,
ვერასდროს რომ ვერ გაყდიან!..

ოღონდ ესეც არ დაივიწყო:
მტრებს დაუმაღე მისი სახელი!

ტაპაი

და მთების ტბები
ცის ფესვებივით...

გულეებს და თვალეებს
და სურვილებს რომ ირეკლავენ
და ვარსკვლავის ცივი ცრემლით
საქართველოს დარდს რო ხატავენ
ყრუ ნაპირთა
ყვავილების თვალისგუგებში...

სიმცირის ქაჯა

შენ პატარა ხარ: ისე მცირე, რომ
იმ ვარსკვლავზეც დაეტევი,
ძლივს რომ ბჟუტავს
შუაზამთრის შუალამეში...

და სულ მცირე ხარ:
სიყვარულის ცეცხლში გამლღვალ
გულივით მცირე!

და სიტყვასავით მცირე ხარ და:
პატარა ხარ იმ სიტყვასავით,
პოეტმა რომ წაანერა ვარსკვლავის სისხლით
ცადაჩხვერილ შენს საღ კლდეებზე!

ისე მცირე ხარ,
რომ ვარსკვლავის
გამოშვერილ ხელისგულზეც დაეტევი
შუაზამთრის შუალამეში!..

ვისსანაჲ მოსას ზან მაიშუნს

სიტყვას მისდია ერთგულ ქმარივით.
წიოდა სიტყვა: ქარში მროკველი...
უდაბნოს გზებზე ლოკა მარილი:
იქ ბევრი დარჩა ასალოკველი!

არ უფიქრია წარსულის ჭლექზე,
ცა დაუტოვა ვარსკვლავს, შურიანს...
და აუტიზმით ავადმყოფ ლექსებს
უდაბნოს დარდი გადაურია!..

გველი და მზე

ცხელ უდაბნოში გველმა დახატა თავისთავი...
და ნახატი
მზემ გაკიდა ვარსკვლავების მხურვალ ტოტებზე;

მზემ გამოაშრო ის ნახატი,
თან ფერები დაუმატა ცისგადაღმური...

და მერე,
როცა გველმა ნახატს ფეხი დაადგა,
კვლავ მოსწყურდა ძველ სურათში დაბრუნება
და კიდევ იგრძნო მან გველური სიყვარული,

დაუოკარი...
და მზე დახატა თავის ახლორე
და ნახატი კვლავ მზეს გადასცა,
როგორც სიტყვა სამადლობელი...

ქვიშაზე მზის სიყვარული, გაუგონარი,
და გველის დარდი, არაქაური...

და ორივე:
მზე და გველი ცხელ უდაბნოში,
სულბოლოს რო შეიყვარეს ერთიმეორე!

სიტყვის უფლება

მთვარემ და მთებმა ღამე მორკალეს,
ტყეში დააბეს ნაწნავ-კავებით...



შენც ცოდვა გადევს: ნუხელ მოკალი
სიტყვა, რომელსაც ვერ აკავებდი...

ვერ დაიურვე ნაბოზარი და...
ინვნიე მკვლელის ბედი ნუხელის...
შენ გიყურებდენ ქვეყნის გარედან
ისინი, ვისაც მონმის უღელი

ადევთ კისრებზე: ისიც მძიმეა...
მონმეა წყალიც, მთვარეც, იგი ხეც...
გამკვირვებია ვარსკვლავ-მძიმების:
ხელები რომ არ გადამიგრისეს!

აქ სულ ამაოდ ყალყზე დგებიან,
ხან შენს გულს თავზე გადაუფრენენ:
კრიტიკოსების გამკვირვებია,
რომ არ იცავენ სიტყვის უფლებებს!

თავისუფლების აპოლოგია

მოდით:
აბა, თვალებიდან გამოვუშვათ
ცა პატიმარი...

გავათავისუფლოთ ჰაერი
დედამინის პატიმრობიდან!

გავათავისუფლოთ ჟანგბადი:
გავათავისუფლოთ ცა პატიმარი!

გავათავისუფლოთ დედამინა
გალაქტიკის პატიმრობიდან!

გავათავისუფლოთ დედამინა
თავის თავის პატიმრობიდან!

გავათავისუფლოთ საქართველო
თავისთავის პატიმრობიდან!..

მთაწმინდის მწუსრი

ღმერთი ახსენე: დარდი ახსენი...
ლექსში სიტყვები როცა ტირიან,
შაენისლს მოახვევ მწარედ გასენილ
გულს,
გველის გვემულს და გულჭირიანს!..

ახსენი დარდი.
მზე უცებ ჩადის...
მისდღე სიტყვას: უნდა იქორო!
ვაჟა-ფშაველას სამარის ქვადიდს
ჩაეტოტები, მწარე სტრიქონო!..

მწარე სიტყვა

და მწარე სიტყვა,
ყორნის ხმაში რომ იფოთლება:
ფეხს რომ გაბიჯებს და გაბითურებს:
შენს ამღვრეულ სისხლს რომ ერევა გველის შხამივით!

და მწარე სიტყვა,
ჟამიჟამ რომ დაგვეცემა: გულში მიძვრება,
შენს ტკივილს ნონის
და აგუბებს
შენს თვალეებში, დასათხრელეებში...

და მწარე სიტყვა,
სიზმრებს რომ გართმევს,
შორით რომ გიქნევს
ცისგადაღმურ ელვის მათრახებს...

მთვარის ხანჯრებით რომ დაკეჭნა
შენი შუბლი...
და სამშობლოს გველნაკებნი მინის ნაპირი
რომ შემოხაზა
შენს დაწყველილ გულისფიცარზე...

და მწარე სიტყვა,
გულჭირიანი,
ხელები რომ გადაგიგრისა,
მაგრამ მაინც ვერ გამოგტეხა,
მაგრამ მაინც ვერ დაგავინცა
ის ნაღვლიანი მინის ნაპირი,
შენთან რომ არის,
ფეხს რომ გადაგამს,
შავნაღველს რომ გაშხეფებს შუბლზე
და გულს გიბზარავს ყოველნუთიერ
ისე,
როგორც სიყვარული თავდაპირველი!

დალახვროს ღმერთმა,
ჩემი თავი აღარ მახსოვს დიდხანია...
თავისთავის დავიწყება,
ეს ხომ მართლაც დიდი რამ არის!

თუმცა გულზე ერთადერთი
სინანულის შავლოდი მანვეს:
სხვებიც, სხვებიც რო აღარ მახსოვს,
ის მენანება!

დაგინახე: შორს, შორს წასულხარ...
ისე შორს, რომ აღარ გესმის ჩემი ძახილი...

ჩემი ხმა სანამ შენამდე მოვა,
ჯერ მთებს უნდა წამოედოს:
იქ უდაოდ მუხლებს იტყენს და
ხელისგულეებსაც გადაიტყავებს...
და სამოსელიც იქ დარჩება
კუნელების და ასკილების მწარე ეკლებზე...

და თუ მაინც წამოგენევა,
შენ დაინახავ მანანნალას:
გულჭირიან გზების ბოგანოს...
და ველარ იცნობ...
და ეს ფიქრი დაგემგზავრება:
ღმერთო, ნეტავი, ეს ვინ მომდევს,
რა უიღბლო ვყოფილვარო...

მე კიდევ გეტყვი:
გულს ნუ იმჯივია!..
ჩემი ძახილი ამ მუხთალ გზებზე
მისდევს ჟამის უარყოფილებს
და უიღბლოებს:
ბედისწყევლაში
ვისაც ტუჩპირი დაეზარა და თვალეები ამოულამდა!

სიტყვას გაზომავ ისევ ამავე
სიტყვით და დაღლის მისი სიმძიმე
შენს უდაბურ გულს... და მოგშამავენ
ის წლები, როცა გამოიძინე,
როცა ბევრი რამ დათმე, ტიალი
სიტყვაც და დარდის ავანჩავანიც...
მაგისი კვამლი სულში ტრიალებს:
იქ ხანჯარს იქნევს ვინმე მავანი...
და შენ გაღვიძებს, უკვდავო წამო,
და გზას გაჩვენებს საღვთო გეზით,
სამოთხის ჯავრით რო მოიშხამო,
რო ევნო სიტყვით და პოეზიით!

აქ ხომ თავისი ჯავრი იშოვებ: დაქანცე გული, როგორც ფირალი... სიზმარში ნახავ მტირალ ღვთისმშობელს: არ უნდა იყოს გასაკვირალი!

სხვა რამეს გეტყვის ჟამი საცრემლე: შავბედს ხომ ვერსად დაემალე... შენი დღეები პირქვე დაგცემენ: მწუხრს გაარევენ შენი თვალები!..

წამისოფელი უნდა გებევროს: დრო ბევრი გქონდა, როცა მოხველი... აქ ფეხს დაადგამ სიტყვას, ბებერო: იხრჩობა სისხლით გასაპოხელი!..

სიტყვებს ველარ ყიდიან დაწყველილი პოეტები: ტიალ გრძობებს ვერ ყიდიან ვარსკვლავების მოლობილში დამწყვედეულები...

კაცმა რომ თქვას, ვაჭრობა ხომ მათი საქმე სულაც არ არის!

წიგნის ყდები: აქ სიტყვების კომპაქტური დასახლება... რამდენიმე 1000 და რამდენიმე 10.000...

და ყდები სიტყვებს ამსუბუქებენ... წიგნის ვაჭრებმაც შეიძულეს პოეზია და მკითხველიც გამოილია...

აბა, ვის უნდა, 1 000 000 სიტყვის დასაკუთრება! ვინც შინ წაიღებს და წაიკითხავს, ღამის კედლებში, ვინ იცის, რა დაესიზმრება: პოეზია ხომ სულ სხვა სიზმრებს აღმოაცენებს, არწივის თვალში გამოვლილებს, მდინარის და ღრუბლის გულში გამოვლილ სიზმრებს...

დიდგორის ველზე ნათქვამ სიტყვებს აქ არავინ არ იყიდის, რადგან მძიმეა: ჯავარდენის სიმძიმე მოსდევს!

იქ ბევრი სიტყვა არავის უთქვამს: იქ მახვილებმა ილაპარაკეს და სადიდგორე სტრიქონებიც სისხლით დაწერეს!

იმ სტრიქონებს ბაზრობაზე ვერ გაყიდიან, რადგან სისხლიც არ შემოიბოძა, რადგან ფასიც არავინ იცის!

მე კი გეტყვი: ეს სტრიქონები სილატაკის გვირგვინებზე გადავცვალთ და დავიხურთ დაწყველილმა პოეტებმა ის გვირგვინები ნაჭრილობევ თავის ქალებზე!

ჩრდილოკავკასიელ ძმებს

აღსდექ, კავკასო! შენ ეს გმინვა გულში აღიცერ: დღეს სისხლიც სულის ბადაგი არის... აქ ჩვენი ძვლების ლანალუნი გამოგვალვიძებს: დროის ბორბლებმა გადაგვიარეს!

გჯეროდეს, მალე გაიხსნება მისამართები, გზაც გაიხსნება აქ მზის დასავლის... გულელებიდან და წარსულიდან აიმართება კავკასიონი მინისძვრასავით!

ინამე, ვეჟო, აქ აღმოხეთქს დარდი ულევ: იქ ავა, სადაც მწუხრი ფრიალობს... ვიცი, გაუძლებ და აღსდგები ჩვენი წყლულების დედაო, გლოვის თავსაფრიალო!



ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

ნარიყალადან

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი-სა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტერს ჩაეყარა საფუძველი. ტაძარი ქართველი ხალხის, ერისა და ბერის, მქონებელთა და უპოვართა ნებაყოფლობითი შემოწირულობით შენდება. ცის ტატნობზე, მთის დავაკებულ თხემზე, გრანდიოზული ნაგებობის პირველი საგნობრივი ნიშნები გაჩნდა: ნარიყალადან, ჩემი სახლის ეზოდან და აივნიდან, მიუხედავად საკმაო სიშორისა, გარკვევით გამოიკვეთა შენობის ფასადის კანთიელი კონტური. თითქოს მინის მიუწვდომელ სიღრმეში, ღვთიური სინამდისით მხარგაპოხილი მალღობის იდუმალ ნიაღში, ქვესკნელის უკიდევანო სივრცეში იღებს სათავეს და დღითიდღე მატულობს, იზრდება; ივსება ზეციური მადლითა და უმრუშო სინათლით...

უფლის უმრუშველ ნყალობად ვთვლი, რომ გამხანდა ღირსი დღენიდავ თუ ყოველ დილა-საღამოს ამ მშვიდი, დიდებული, აღმატებული, ჭეშმარიტად სინერგიული პროცესის ცქერისა. მალე ცად აღმყვანი კიდევ ერთი ნასიკეთვარი კიბე შეემატება და დაამშვენებს პირმინდ-ად ქართულ, განუმეორებლად თავისთავად თბილისურ ლანდშაფტს!..

სიმძიმე

ქია, ქარქვეტა, ქარში მოფარფატე ხმელი ფოთოლივით მჩატე, ნაჩხატა და ნაბეჩხარ მინასავით უდალო და უნაყოფო, უშნოდ, უშვერად, უშინაარსოდ მოუბარი ქალისა თუ კაცის გასაგონად და გასათავისნივლად ახლაც ამგვარად ფიქრობენ და „დიდაქტიკოსობენ“ ადამიანურ ღირსებათა „ნუსხისა“ და ნაირსახეობის ზედმინევიტ მცოდნე, წლების სიმრავლით დამძიმებული და დაბრძენებული თუში ბერდაიცები: „სიმძიმე ქვასაც უჭდებ!“

მეამა და მემშობლიურა, როცა ზომიერი მხატვრული „ესენციის“ შემცველი ამ სამსიტყვიანი სენტენციის პოეტურ ანალოგს მივაკვლიე ჩვენი მუდამყამს მყოფანი, ხავერდის ხაოსავით ნედლი და ხასხასა ხალხური პოეზიის ჯვრაც ბოლომდე აუთვისებელ და ამოუცნობ დიდ საზადოში: „სიმძიმე ქვათაც უჭდების, ვერ ზიდვენ დილის ნაავი...“

ასე თვლიან კოლოსალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ნაზიარები თუში ქალები! ამასვე ანამდვილებს აკვნიდან ვიდრე კუბოს კარამდე გონიერ ახლობელთა გარემოცვაში ნებაყოფლობით „გამომწყვედეული“ ანონიმი ხევისური მელექსე!

არჩევანი ჩვენზეა. თუმცა... ჩვენ რა უნდა ვქნათ, რა უნდა ვიღონოთ, „თუ ბუნებამც არ უშველა!..“

ზვიადი

ლილოს აულები: „კახეთს მოჭრილი“ ისარივით ტანსნორი, წელში გასხვეტილი ნონოლა ციხეები; ჩამოშლილი ქავეები და მქრქალი ქვითკირები; მდუმარე აკლდამები... და ცის ნატეხივით კამკამა წყაროები, რომელთაც რახანია აღარ სმენიათ თავმთხილი და ავკარგიათ ქისტის ქალების ნიავევით მსუბუქი ნაბიჯების სანატრელი ხმა... მერე გზა ასას კალმახიან ხეობას მიუყვება.

ქავისკარი — არხოტში მისვლამდე ცოტახნით შესვენების, თავს ნამოყუდებული საჯიხვეების ცქერით ტკბობისა და სახელდახლო ნახემსებისთვის შესაფერისი ადგილი.

შალვა კაზალიკაშვილის მიერ ყაზბეგიდან გამოტანებული სამწვადე — ბრტყელ სიპზე. შამფურები. ნალვერდალი... პლასტმასის ათლიტრიანი „ბაჩონკა“ — ყინვრიან მდინარეში. აჩხოტის საცხოვრის მოხეური „ბუხანკა“ — წყლისფერი ქვის მრგვალ „ტაბლახე“. გუდის ყველი და ქაშა, შემრეშილი პომიდორი...


ზვიადი ამ დრომდე არხოტში არ ყოფილა და ახლა შალიკო-ვალკო ნიკლაურის შეწევით ისრულებს დიდი ხნის სურვილს. აშკარად ნასიამოვნები ჩანს, გაბრიელ ჯაბუშანურის სამშობლოს ახლობით მოხილვის შესაძლებლობა რომ ეძლევა...

მწვადს პირს არ აკარებს. პურის ნატეხს იღებს და ნებნება, აუჩქარებლად, დაგემოვნებით, პატიმრობიდან თავისუფალ სივრცეში მოხვედრილი კაცისთვის ჩვეული ფიქრის თანმიტანებით მიირთმევს... და საფუერისგან ოდნავ მომყავო პური მის ხელში ბევრად მეტ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს, ვიდრე ეს ადამიანთა კვების სადავ, აუცილებელ, ყოველდღიურ რაციონში იგულისხმება.

ჩვენს ასასპირულ სერობას შემომატებული, ახიელიდან ამჟორიტეში მიმავალი ხევისური ბიჭები იარაღიდან ნიშანში სროლას სთავაზობენ და წყალგაღმა აზუხევებულ ქვამარილისფერ ქარაფში მუშტისტოლა ბროლზე უთითებენ. ფეხს წინ დგამს, ეგრევე, წამოუქადლებლად უმიზნებს და... ქათქათა, მზეზე მდღვინავ ნატყვიარ ბროლს ბოლი ასდის.

— მახვდ! — ეს არსენ არაბულია, ერთ სიტყვაში რომ ატეხს და გამოხატავს ზვიადის მარჯვე ნასროლზე თავის ადეკვატურ, ემოციურ რეაქციას... არხოტი.

ფეხთ თეთრი წინდების (ხევისურული „თათების“) ამარა ახიელის ეკლესიის ნანგრევთან ჩვენ შესახვედრად მომავალი ციცქა ჯაბუშანური — ნადლეობარი და მანც



სოფელი ჭიმლა, არხოტის თემი

დინჯად, აზრიანად, დალაგებულად მოუბარი (ციცქა, ვინც შეუწონარ სიღარიბესა და მინურის უკიდურეს სივრცეში თერთმეტი შვილი იყოლია და ვის გამოც სწორუპოვარი მელექსე ივანე ნიკლაური იტყვის: „ციცქასა ჯაბუშანურსა ქერს არ უთოვდეს ცანია, გაზარდის მაგის დაცმა ცხრა ვაჟი, ორი ქალია...“); სოფლის ზემოუბანში განაპირებულ ფარლიატ ფინურში ციცქათ ხეთისოსთან ზვიადის „დაუგეგმავი“ სტუმრობა: ხის გრძელ მაგიდაზე ჩამოდგმული ღვინიანი ბოთლი, ერთჯერადი ჭიქები, პური, ყველი და მწვანილი; ქორძო ნაროზაულის სახლის წინ თეთრ ცხენზე ამხედრება (ვენანობ, ეს კადრი რომ არ გადავიღე!); ორლობეში შესვლისას მოსმენილი, მანამდე ჩემთვის უცნობი საზნეობო ხალხური ლექსი (რომელიც, როგორც ვხვდები, მთვრალ ციცქასთან შეხვედრამ გაახსენა ზვიადს): „ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ერთი ხვდესო. ყმანვილს სუნი მიუვიდეს, ღმერთს თაყვანი სცესო...“

1989 წლის დარავდრიანი აგვისტოს იმ წყნარ, პოზიტური ენერგიით დამუხტულ მოუწყინარ დღეს ჩამაგვსა და ჩორეხის ფრიალოებს მიფენილი ლილისფერი ნისლივით მშვიდი იყო ზვიად გამსახურდიას ნუთისოფელი.

გამოსარჩლება

დასაწყისი ვაჟა-ფშაველას ზე-უცნაური პომისა „გველის მჭამელი“: „სასტუმროს იყვნენ ხევისურნი, ლუდი ედულა ნიქასა“... ხალხური პოეზიაც გავიხსენოთ: „მე ლუდოვითი გამავედ, აქ უფრო ბევრი მდგარაო, უკეთუკეთი სტუმარი ყველა თქვენს სკამზე მსხდარაო...“

ლუდს ჯვარ-სალოცავთა საიდუმლო, საკრალურ ენაზე „კოდ-ბადაგი“ ჰქვია, ხოლო სულხან-საბას განმარტებით - „ქერის თაფლუჭი“.

ამ სახელდებებში ბადაგთან და თაფლთან ლუდის თანაზიარობა, წილდებულობა, დასაბამიერი სიახლოვეა ხაზგასმული და აქცენტირებული.

ამიერ საქართველოს მთაში, მაშინ, როცა ყოფითობის რუტინულ ველსაც მისტიკური იდუმალება მსჭვალავდა, ლუდით სავსე თასით ანდა ჯიხვის რქით წარმოითქმოდა ციდან მინაზე ნათლის სვეტად ჩამოსულ ღვთისშვილთა სადიდებლები, განსვენებულთა შესანდობარი, ახალშობილთა თუ ომში მიმავალ კაი ყმათა სადღეგრძელო. ლუდი იყო მისისხლეთა შერიგებისა თუ სამხიარულო-საქორნილო ცერემონიალის მიუცილებელი ატრიბუტი... ერთი სიტყვით, მთიელთათვის ლუდით იხსნებოდა „ღვთაებრივი სამყაროს კარიბჭე“ (ელდარ ნადირაძე), რასაც წინ უძღვოდა ყველა რელიგიური დღესასწაულისა თუ სამეურნეო საქმიანობის დაწყება სვიანი ლუდის დუღებით...

ლუდის სამშობლო ძველი ცივილიზაციის აკვანი, ეთნოკულტურულ განასერში ჩვენი მონათესავე შუამდინარეთი ითვლება, საიდანაც ამ კეთილშობილმა სასმელმა ურარტუში, ხოლო შემდგომ კავკასიაშიც შემოაღწია.

უნიკალური არქეოლოგიური მონაპოვრის — თრიალეთური თასის — სიუყეტური კომპოზიცია მონაპოვს, როდენ მკვიდრი და საჩინო ადგილი ეკავა საუკუნეთა სარბიელზე ლუდს ქართულ ყოფაში.

ტრადიციულ საზოგადოებაში ლუდის დუღება, სვით კაშხა, საფუერის მიცემა და დამზადება სულოთ და სხეულით მონაპოვარ ადამიანებს ჰქონდათ მინდობილი. სალუდე მარცვლის შესანახადაც ურიოშო, სუფთა ადგილები — სახლის ჭერხო, ხატის ბეღელი — იყო გამოყოფილი. წმინდად უნდა ყოფილიყო დაცული და შენახული ლუდის დუღებასთან, „შეყრასთან“, დავარგებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული საჯვარხაბო ჭურჭელი და ინვენტარი: სპილენძის სალუდე ქვაბი, კოდი, ჩხუტი, კოში,



ლაბა, სანდუ და, რაც მთავარია, ვერცხლის შიბ-სამკაულით ლამაზად მორთული ბარძიმი ანუ სახუცო კოჭობი. და ეს ყოველივე ხევისბრის — ღვთისშვილებთან ხალხის შუამავლის — უშუალო მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

ლუდის პატივისა და „უფლებრივი“ უპირატესობის თვალსაჩინო მაგალითია მისი ფალსიფიცირებისთვის დადგენილი და გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმა „ხამურაბის კანონებში“ — მსოფლიოს ამ უუძველეს საკანონმდებლო ძეგლში...

ლუდმა საქართველოს ბარსა და დედაქალაქში კაი ხნის წინათ განიცადა დესაკრალიზაცია; დაკარგა რიტუალური დატირთვა და დანიშნულება; და თავისი მნიშვნელობით ლამის ბანის ნარეცხს გაუთანაბრდა.

ლუდით უჯიშოთა, უსაფეროთა, უსაქციელოთა, ჭუჭყსა და ჭაობში წელამდე ჩაფლულთა სადღეგრძელოს სვამდნენ...

და კარგია, რომ თავის ოდინდელ ღირსებას იბრუნებს ეს ამოგემო, მარგებელი სასმელი; იბრუნებს და კუთვნილ ადგილსაც იმკვიდრებს ჭირისა თუ ლხინის ქართულ სუფრაზე.

თვალმოპოვების მიზანი

ვინცა ხართ კაი ვაჟკაცი, ნადირთ უძიეთ კვალთა, შახევით სიმაგრეშია, — რა ძნელი გასავალია! ხალხური

შავანა. შავი, შიშველი კლდეები. ხეობის ქვემოწელში — წვიმგაგარი ქისტური ცხენები და საძოვარს მონაცხრეული ცხვარ-ძროხა.

დურბინში — მხრებზე სანვიმარ-მოსხმული ქისტი მწყემსი: ცქაფი და დაცქეტილი, საეჭვო ჩქამზე მალი-მალ რომ ჩერდება და მიდამოს აყურადებს; არკვევს, რომელი მხრიდან ისმის ქვიშის ჩხრიალი...

უცხო, ცქიოტი, რაღაცით ხაზგასმულად არამშობლიური გარემო.

წელან, ნისლი რომ აიყარა და თვალსანიერში ლეგა საჯიხვეები ჩამოლაგდნენ, ყაფარ კლდეებზე, ფიფქსაც რომ გაუჭირდება ფეხის მოკიდება, აღმა მიმავალი ჯოგი შევიწმენეთ...

სამნი ვართ, მე და ჩემი ორი ბიძაშვილი. მთავარია, ისეთი მიმართულება ავირჩიოთ, ჩვენი მხრიდან ნიაკი არ იკრან და ჩიხში, სადმე „იწრო ყურეში“, ადვილად მივიმწყვდით.

დროდადრო ხედვის არედან ქრებიან, უჩინარდებიან და მერე ისევ ჩნდებიან შერიბხნული ტინების ფხასა თუ ცის ტატნობზე.

მიმიხვდება, ვისაც მონადირეული აზარტი გამოუცდია: წინ და მალა ისე მივინევთ, უკან აღარ ვიხედვით. თანდათან ძნელდება შერეობაზე მობლაუჭება, ბზარებში მოჭიდება... ნამისნამიერი განსაცდელი მშვიერი აფთარივით ჩაგვსაფრებია. კლდის გამოქარული შიბები, თანაც ისეთი ვიწრო, ვერც ჩაიჩოქებ და ვერც ჩამოჯდები... ბედისწერასავით გვეშორებოდნენ და კვალზე მიგვიდევნებენ. ნახევარბრუნის შესაძლებლობაც არ გვაქვს, ერთურთს რომ თვალი ვადევნოთ და მაინც, შიშსა და დაღლილობას დაუძლეველი სურვილი ფარავს: სასროლ მანძილზე, სათოფეზე მიგვიშვან... და როცა ცხვირნი რკინისფრად აელვარებული პიტალო აგვეყუდნა, გავადგველობა და სავალი ჩაგვიჭრა, მაშინდა მივხვდით, სიბრყვისა და წინდაუხედაობის რა სახეფათო ხაფანგში ვებმებოდით...

დაბლიდან იორწიო ამოდოდა. აღარ ხერხდებოდა ნაბიჯის წინ წადგმა.

ცხროჩამდგარი მუხლებით ჩამოვბრუნდით უკან. ბლუნვით ჩამოვთავავეთ ფიცარკლდის მკერდს ირიბად მიკერებული საცალფეხო შიბი. ჩამოვთავავეთ და გადავრჩით. გამჩენმა აგვაშორა ამკარა მარცხი. ღვთის ძალამ გვიხსნა და გვიშველა.

იმ დღიდან დამჩემდა თვალმოპოვობა. და მივხვდი, რომ ნადირობა და ალპინიზმი ჩემი საქმე არაა.

რამ უნდა მაიძულოს, „არაის ძალის ტანებას“ ოდესმე კიდევ ავებლატო „ემშმათ საქონის“ საღალბო ქარნიავიან ქარაფებს!..

„ღვინჯუა“ და სხვა 23.01.2000.

მონაცვლეობით ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის „ღვინჯუას“ და გვეჩვენება, რომ შუაგული ზამთრის გამჭოლ, გამბირძვლავ სუსხს ექსპრესიული თხრობის ენერგიული ნაკადი ამსხვრევს, ანახევრებს... თითოეულ სიტყვას, ფრაზას, სიტყვათქმნადობის თითოეულ ნიმუშს ხედვამადლიანი მწერლის გამორჩეული ხელნერის ღონიერი დამლა აზის. ამ არაორდინარულ მხატვრულ გარემოსთან გაშინაურება გარკვეულ მზაობას საჭიროებს მკითხველის მხრიდან. ბოლომდე რომ ჩანვდებოდნენ ხასიათებსა თუ პეიზაჟურ ნიაღვრებს, მოთხრობებში განვითარებული ამბების თანამონაწილეობის ცოცხალი განცდა უნდა გქონდეს. უამისოდ სრულფასოვანი ვერ იქნება შემოქმედის მიერ რუდუნებით ნაქერნი ცხოვრების ხატის შენეული აღქმა, გაგება, გათავისება... ვამთავრებთ კითხვას.

ყველაფერი ფსკერმოკენჭილი მდინარის დანმენდილ ტალღასავით გამჭვირვალეა. არც რაიმე საკმათა და, მითუფრო, არც გაუგებარი. „ღვინჯუას“ კითხვისას

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი



შელო, თუშეთი

არ ჩნდება კითხვის ნიშნები. ხოლო საუბრისა და მკითხველზე ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის საიდუმლოს ამოხსნის სურვილს ძალდაუტანებლად მოიყოლიებს წუთებისწინა პროცესში უშუალო მონაწილეობა. და ფიქრი იმაზე, რა და როგორი ურთიერთმიმართებაა ჩვენს პირად გამოცდილებასა და სიტყვაკაზმული მწერლობის რჩეულ ძეგლებში ასახულ ვირტუალურ სინამდვილეს შორის...

დროებით დუმილს ვამჯობინებ და ფურცელზე მოსწრებისამებრ ვინერ თენგიზ მირზაშვილის აღსარებისნაირ რეფლექსიას, გნებათ — მონოლოგს: „ღვინჯუას“ რო ვკითხულობ, რაც არის მიგნით, ჩემთვის ყველაფერი ნაცნობია. ეს ჩემი სამყაროა. თითქმის ღვინჯუაც მე ვარ, იმდენად ახლოა ჩემთან. ლეონიძე ხომ ამ საუკუნის დასაწყისის კაცია. მე — ამ დროის. მაგ მხრივ მეც მაგათ — მამაჩემის და გოგოსა — თანამედროვე დოვლი თავს. იმ სამყაროსთან გაუცხოების გრძნობა ერთი ნაბიჯითაც კი არა მაქვს... დროის ფაქტორი წაშლილია, არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ქალაქში ვარ გაზრდილი. შეიძლება ათასი გამოთქმა, რაც „ღვინჯუაში“ მოვისმინე, ისედაც ვიცოდი. ასეთი შეგრძნება მაქვს... არც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან მიგრძნვია გაუცხოება. ბარიერი არ მქონია... ჩემთვის ასევე ძალიან ახლობელია გულქანი, მისი სამეტყველო ენა, თხრობის სტილი... ამითაც იყო განპირობებული ჩემი მეგობრობა რეზონანსივით. საერთო სამყაროში ვცხოვრობდით... ძნელია სიტყვით გამოთქმა, სხვა რაღაცა გამოდის, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება მაქვს შენთან, ეთერთან... რაც გამიკეთებია, დამიხატია — ამას ხომ შერჩევით ვაკეთებდი. ამაშიც გამოიხატება, რა არის ჩემთვის მისაღები, მნიშვნელოვანი... დიდი სიხარული იყო ივანე ნიკოლაურის, იოსებ ბაიაშვილის გაცნობა... თანდათანობით გადასვლა ახალ რეალობაში. ისეთი ახრება

კი არა, ვთქვით, მონადირეებს რომ აქვთ ხოლმე. არა... მე ჩემი ბუნებით უფრო სოფლისა, უფრო მთისა ვარ. რთულია საკითხის დაყენებაც კი. რახან მთამ ამდენი რამე შეინარჩუნა: სიტყვა, პოეზია... — ბუნებრივია, უფრო გივიდავს, თავისი მიზეზი აქვს ყველაფერს...

და ჩვენი წინდანინ დაუგეგმავი, სრულიად სპონტანური კითხვითი „სენსის“ სრულუფლებიან მონაწილეობად მოსჩანან თენგიზის ნახატების დიდ-პატარა პერსონაჟებიც, გაკვირვებულნი რომ იყურებიან სახელოსნოს შეუღებავი, მიმქრალი, თითქოსდა მართლაც ხელისგულებით ნალესი სადა კედლებიდან.

„ჩვენი ვიტყვი...“

სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა... შოთა

ლეკების ლაშქარი მიადგა ჰელოს. მიქელი, სურას გაზრდილი (ვარ.: მიქელა, ზურაბის ძე; მიქელა, რუსას გაზდილი; მიქელა ურაზიშვილი), გვარად ბულრიძე,

იგივეა, რაც მიქელის დისა: ურჯულთა კერაზე ჯდომას ისიც ღვიძლი ძმის ხელით სიკვდილს ამჯობინებს. ღვთისოც, სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავს, იმავს სჩადის, რასაც ჰელოელი მიქელი: განგმირავს დას, ცოლს და სიმაგრედან გარეთ გაგარდნილს მტრის ტყვია წამოენევა...

ეს ორი უპრეცედენტო, ძარღვებში სისხლის გამყინავი და გულის გამფლეთი ამბავი დასდებია საფანლად ივ. ბუქურაულის მხატვრულ-დოკუმენტურ მოთხრობას „ზურაბის კომპი“ და ივ. ცისკარიშვილის პროზაულ ქმნილებას „დიკლო-შენაქო“...

ოლონდ სახელი არ შელახვოდათ, სამზოვზე სირცხვილიანი პირით არ ევლოთ, „რჯულთა ნილაჟადრებთ“ მოსისხლეთა ჭერქვეშ არ ეთენ-ელამებინათ და მზად იყვნენ უყოყმანოდ, უშიშრად, წარბეუხრელად შეგებებოდნენ მწარე, „არმოცინარ“ სიკვდილს...

აქვე, ამ კონტექსტში დიკლოდან ტყვედ წაყვანილი ულამაზესი თუშის ქალი სადარაც (ვარ.: ნინოს ეთერი) უნდა ვახსენოთ; სადარა, რომელიც ერთ ნაიბს საცოლედ მოეწონა და მთის ვიწრო ბილიკებზე გვერდიდან არ იცილებდა... ყინულით ჩალესილ ფერდობს რომ მიადგნენ, სადარამ უთხრა: — მე ამ მოლოპულზე ვერ გავივლი, ხელი მაგრად მომკიდე, დამეხმარე... გაბრიყვებული ლევი ქალის ნებას დაჰყვა, ამ უკანასკნელმა ღონივრად დასნია, უბიძგა და ორივე ყორნების ჩანაყვებზე ხევი ჩაიჩეხა...

ჩილოს ნისქვილიდან ლეკეთში გატაცებულმა ნანა თორღვას ქალმა, ფეხშიშველს რომ გადააღახვინეს თვირთილიანი მთები, იმ იმედით, რომ მამულნი მის კვალზე დადგებოდნენ, დანაყილი საყურბეჭდით „ჩანისა გზანი“ და თანაც თავის საქმროს შეუთვალა: „...თუ მალე არ მომეშველე, უნდა მოვიკლა თავია...“

მომხვედურთა ძალადობას საკადრისად პასუხობდნენ ქართველი მთიელები. გვარსახელს ლაფში არვის ამოასვრევენდნენ. ქადილის ძალა შესწევდათ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იუნჯებდნენ თავმოყვარეობას. სანადელს მაინც აისრულებდნენ, თუნდაც ეს ღვთისგან ერთგვის ნაწყალობევი საკუთარი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ; ზეპირ მუქარას არ სჯერდებოდნენ და სათქმელს შორიდან ლექსად უთვლიდნენ, თავს ამეტებდნენ, ეპაექრებოდნენ: „რაც გინდა ცამა იჭექოს, ღრუბელმა იბუქიროსა, ლეკებს არ წაგაყვანინებ, თავ არ მოუჭედეს ილოსა, მაინც გაგიყვან, ქალაო, საჩვენო სანაპიროსა“.

... ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ განხილვისადმი მიძღვნილ თავის ვრცელ წერილში გურამ ასათიანი შენიშნავს: „ფილიპინებზე ყოფნის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა სიტყვამ, რომელსაც აქ განსაკუთრებით ხშირად ხმარობენ. ეს სიტყვა ერთდროულად ნიშნავს ღირსებას, სინდისს და თავმოყვარეობას (ეთნოგრაფები აღნიშნავენ ფილიპინელების განსაკუთრებულ, ავადმყოფურობამდე გამძაფრებულ თავმოყვარეობას). ხალხურ აფორისტიკაში ეს თვისება ამგვარად გამოიხატა: „უკეთესია მოკვდე, ვიდრე თავმოყვარეობაშელახულმა იცოცხლო“.

მკვლევარმა და კრიტიკოსმა ის „ერთი სიტყვა“ სხვაგან გაგვაცნო და განგვიმართა. მისსავე წერილში „ფორტ სანტი-აიგოდან ხატინამდე“ ვკითხულობთ:

„როდესაც ფილიპინელი ისეთ დღეში ჩავარდებოდა, რომელიც მის ადამიანურ ღირსებას შურისცხყოფს (სიღატაკე მისთვის ჩვეულებრივი მდგომარეობაა, ის დამცირებას ვერ იტანს) და როცა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა გზა აღარ არის, ის შოულობს იარაღს, კლავს ჯერ შვილებს (თითო ფილიპინურ ოჯახში საშუალოდ 4-5 ბავშვი იზრდება), მერე — ცოლს, მერე ყველას (განურჩევლად), ვინც ამ ამბავს შეესწრება და უკანასკნელი ტყვიით (თუ მანამდე სხვებმა არ მოუღეს ბოლო) თვითონ იკლავს თავს. აი, რას ნიშნავს ფილიპინურად სიტყვა „ამოკ“.

... სულიერ ღირებულებათა დეველაციის, კაცობის „ხარისხის“ კლების, კაი ყმათა ცხოვრების დაუნერული კოდების რღვევისა და სინმინდეთა პროფანაციის შეუქცევადი პროცესების მოწმენი და მონაწილენი ძნელადლა თუ ვირმწუნებთ ასეთი ამბებისა და ხდომილებების წამდ-

ვილობას, რეალურობას. არადა, დაეჯერებოდა როგორც ქართველ, ისე ფილიპინელ (და, რომელიც გნებავთ, იმ ეროვნების) ნარატორებს, მებრძოლებს, მართალ, მიუკერძოებელ მემბრატანებს...

და რომ მეგონა, მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს მთაში იმართებოდა „სისასტიკის თავბრუდამხვევი დღესასწაულები“ (გ. ასათიანი), თურმე სხვაგანაც, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმაც არანაკლებ სცოდნითა ყადრი და ნონა ლეთიკურთხეული ადამიანური ღირსებისა, შინაგანი თვისუფლებისა, პირადი პრესტიჟის დაცვისა და ბოლომდე გაუზზარავად შენარჩუნებისა.

ტიპობრივი ტექსტების მოსმენისას და კითხვისას კვლავ ვაჟას მზიანი სიტყვა, ვაჟას ტოლერანტული სტრიქონები გაგახსენდება, ბებერი უშიშასთვის რომ ათქმევინებს დავლათიან ალუდა ქეთელაურს: „...ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, მართლთ ჩვენ გვზიან დედანი...“

„ბარტარი“

— ხიზანთ გაბრიელმა მაჩუქა აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“. მერე ეს ნიგნი, რაკი ზეპირად ვიცოდი იქ დაბეჭდილი ბევრი ლექსი, გრანჯა ქიბიშაურს გავუცვალე „ვეფხისტყაოსანში“.

ეს ნისლაურ ნიკლაურია, ბერდიშვილთა მამიშვილობის ენაგზიანი წარმომადგენელი, დედოფლისწყაროს ერთ-ერთ განაპირა უბანში უნადინო ცხოვრების ვარამს ძველი დროის სადაგი თუ საკრალური ამბების თხრობით რომ იქარავებს.

ნისლაური (შესაძლოა, სწორედ მას გულისხმობდეს ანას ლექსი: „ნისლაური, ნისლი ხარო, გამიქრები: მზისი ხარო...“) ახლაც (2009 წლის 12 ოქტომბერს), სიბერის საგრძნობი ულონობის მიუხედავად, არხოტელების ცხოვრების საკვირველებით გაცამცემულ ისეთ ისტორიებს იხსენებს...

მაგრამ ამაზე სხვა დროს. სულის მანიერი საგზალივით სულ თან დაატარებს მელექსეობის ნიჭით გამორჩეულ მამა-ბიძათაგან მემკვიდრეობით გადმოცემულ ზეპირპოეტურ რეპერტუარს და, ალბათ, ამიტომ გაიმეტა ასე ადვილად ხევსურული ხალხური პოეზიის სწორუბოვარი კრებული არანაკლებ სასურველ „ვეფხისტყაოსანში“ გასაცვლელად!

ორიოდ სიტყვა ბოლოვს გრანჯა ქიბიშაურზე (ახლახან გამოვიდა მისი მშვენიერი ნიგნი „არხოტული მოგონებები და ლექს-ანრეზები“).

ნოდარ ანდლულაძე არხოტში პირველი სტუმრობის (1947 წლის ივლისი) პერიპეტეებზე საუბრისას ერთ ასეთ შემთხვევასაც იხსენებს: „...გოგი ოჩიაური, „საქელოში“ ჩადგომამდე, ორი კვირის განმავლობაში მანმიდრობდა თავის საგვარეულო ჯვარში... დამთავრდა ათენგენა და წამოვიდით. მაშინ გავიცანი კალითანელი ქიბიშაურები. გრანჯა იყო ცამეტი წლისი. დამთავრებული ჰქონდა ოთხი კლასი და მშობლები სწავლის გასაგრძელებლად ბარისახოში აღარ უშვებდნენ... დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. დაიწყო და აღარ დაამთავრა. ზეპირად იცოდა, როგორც მახსოვს, ქაჯეთის ციხის აღებამდე... გოგიმ ჰკითხა, მეტი რატომ არ იციო და... მეტი ნიგნი არ იყო! — აბა, გვაჩვენე! გვაჩვენა და მართლაც ნაკლები, ფურცლებამოხეული იყო ნიგნი...“

ნისლაურმა აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“ იცის (თითქმის) ზეპირად, გრანჯამ — „ვეფხისტყაოსანი“ და პოეტური სიტყვით აღუვსებლობის სასიამოვნოდ მტანჯველ განცდას ერთურთში ამ ნიგნების გაცვლით აცხრობენ.

ესეც შენი უნინდელი ხევსურული „ბარტერი“!..

მადლი

მადლი ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის გებისათვის, არცა მოყუარობისათვის, არცა შიშისათვის... კეთილი და ქველის საქმე ქნას.

სულხან-საბა

ჯემალ აჯიაშვილი რეკავს და მეკითხება, სად შეიძლება ალ. ჭინჭარაულის „ხევსურული ლექსიკონის“ შოვნა ანდა შექცევა.

შეკითხვა, წამიერი ჩაკვირების შემდგომ, ირიბ თხოვნად „ეთარგმნე“.

ჯემალი უღარესად უბრალო, მორიდებული კაცი გახლდათ და როცა სხვა გზა და სალონისი აღარ რჩებოდა, მაშინდა თუ შეაწუხებდა ახლობლებს (შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების მისეულ თარგმანებზე სათაურით „სიტყვითა ოქრო — ნექტარი“ სტუდენტობის დროს რეცენზია გამოვაცქევენი ვაზუთ „ლიტერატურულ საქართველოში“. მოკიდებული აქედან ვიდრე მის გარდაცვალებამდე ჩვენ შორის მეგობრობა და კეთილადამიანური ურთიერთობა არ შეწყვეტილა... შევეხმინე ნათელა ჭინჭარაულს.

დამპირდა, მოვიკითხავო... ენათმეცნიერ მაია მანჯგალაძესთანაც მოვსინჯე ნიადაგი.

დამამიყვანა... ხოლო მეორე დღეს შემატყობინა, რომ გასაყიდი ეგზემპლარი აღარ არსებობს.

სამაგიეროდ, ვირტუოზი მთარგმნელისა და ჩინებული სონეტების ავტორისთვის საკუთარი ბიბლიოთეკიდან გაიმეტებს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ალ. ჭინჭარაულის სანიმუშო ლექსიკოლოგიურ ნაშრომს. სალამოა.

— ამირან, არ ვიცი, რითი ვუბასუხო შენს ყურადღებასა და პატივისცემას. მადლობას იმიტომაც გუთხნები, ასეთი კარგი მეგობრები რომ გყავს. ვალში ვარ მაიასთან. ეგეთი ადამიანები რომ არ გვეგულუბოდეს, ცხოვრება გაუფასურდებოდა...

მეც ვმადლობ შეჭირვებულთა საშველად ყოველთვის მზადყოფნა მაია მანჯგალაძეს, აღსასრულისწინა დღეები რომ გაუმყარა და გაულამაზა ჩვენს დიდ ებრაელ მეგობარს და დამიხსნა მოსალოდნელი სინდისის ქენჯნისაგან, გულით სამუდამო ხინჯისა და ტკივილის ტარებისაგან...

სტუმარ-მასპინძლობის

არშაში გაბმული სტუმრიანობის უნაღვლო დღეები უდგას გოდერძი მარსაგიშვილს: ნითელი აგურის ერთსართულიან შენობაში რიგისა შედის, რიგისა — გამოდის.

ხალვათი სახლის კარი დღე და ღამე ღიაა — არც იხურება და, მითუფრო, არც იკეტება... საუბარი აღარაა გოდერძი ჩოხელზე, ილო ფალავანდიშვილზე, ჯანო ხელაშვილზე, დემურ ქვეთარაშვილზე, შალიკო-ვალიკო ნიკლაურზე: ისინი ამ ოჯახის წევრებად თვლიან თავს და, როცა მასპინძელს ცოტა ხნით შინიდან გასვლა უნევს, დამხვდურის მოვალეობასაც მოხდენილად ირგებენ და იფერებენ...

შინაურნი თუ შორეულნი სულის საფონსა და სიმშვიდეს პოულობენ მარსაგიშვილების ჭერქვეშ. დალას არც მარინე შადური — გამრჯე და გულიანი დიასახლისი — იმჩნევს... ცხვება მანიერი ხაბიზგინა და იხარება ოცდაათაოქიანი ხინკალი; იწეება სნოსწყლის კალმახი და შიშინებს ცვრიანი მწვადი...

სტუმარ-მასპინძლის ჟამიერ განწყობაში ბუნებრივად ჯდება და ეწერება თერგის გაღმა მხარის ორი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი; ორი მატერიალური ნიშანსვეტი: არშის რთულ თავგადასავლიანი ციხე-სიმაგრე და გაიბოტენი — ლელთ ლუნისა ჩქაძაძეკრფილი სოფელი...

მწვანედ აქოჩრილი ეზოს განაპირას, ზედ ღობის ძირში, ჯიშინი, ხვალი მგლის გამგლეჯი კავკასიური ნაგაზი აბია. სხვა დროს, სტუმარძვირობისა, ავად აღრენილმა ღამის ვაჭვიც დაანაკუნოს, ხოლო ახლა განაბული ნევს უხვად მსხმოიარე ცირცლის (მოხვევები „წოროს“ რომ ეძახიან) ჩეროში და თვალს არ ამორებს საყვარელი პატრონის ძველსა თუ ახალ „ასარ-ბასარაბებს“... არ ყფებ: ვაითუ შეცდეს და კეთილი, უღარდელი გულით მის საყარაულო ეზოკარში მიმსვლელი ორგულსა და ქვებუდანი აერიოს...

ვანო პაპას, ღრმა სიბერეში ფეხმედგმულ ოჯახის უფროსს, კითხულ, სამართლიან მოხვევს, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც გულზე არ ეხატება თავისი ვაჟიშვილისა და მისი ამფსონების უწყვეტი მიდენ-მოდენა, გადღელამისებული ქეიფი, სამანებმოშლილი დროსტარება და დაუსრულებელი ხმაურით გაბეზრებული სულ სხვა მიმართულებით ურუებს წვეთიწვეთ ნაგროვები უქმყოფილების მღელვარე ნიაღვარს:

— რაი ამბოვია, კაცმა ზომა-წონა ვეღარ უნდა გაიგას?! ემ ძაღლისაღა მცხვენია, ვეღარა გაუგია-რა, ვის დაუყვას

და ვის — არა!..

სიტუაციის ისეთი ზუსტი შეფასებაა, თუნდაც ერთი სიტყვით შევსებასა და გამყარებასაც რომ აღარ საჭიროებს!

აკაკი შანიძე

ხევსურულ დიალექტში ორობითი რიცხვის საკითხის რკვევისადმი განკუთვნილ მომცრო მოცულობის გამოკვლევაში, რომელიც ისევე ექსპრესიულად იკითხება, როგორც ესეისტური ანდა მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტი, აკაკი შანიძე 1965 წლის 26 ივნისს უნივერსიტეტის ჭანდრებთან (ასე უწერია!) სამუკა ფაშქოშის (თუ არ ვცდები, ეს ის ფაშქოშაა,



აკაკი შანიძე და ამირან არაბული

ტრეპანაციების ხევსურ დიდოსტატთა შორის რომ იხსენიება) ძე ზვიადაურთან შეხვედრისა და შინ მისი ნაყვანის შემთხვევას იხსენებს; გვაცნობს არდოტელი მიღმახველის პიროვნებას და პირადი ვარაუდის სისწორეს დასმულ კითხვებზე მის მიერ გაცემული პასუხებით ამოწმებს. შემდგომ ამისა თავისი ყოფილი სტუდენტის ლევან ბოძაშვილის მიერ ყრუ გიორგის კავიებზე დართული სიტყვების ახსნას იხსენებს და „პატარა სასაგძლე ხურჯინად“ განმარტებულ ცნება „აბგანზე“ აჩერებს ყურადღებას... ხევსურული მიმართვის ფორმის „ოჟრო“ და ფშაური „აბგანი“-ს მნიშვნელობები სიმყარესა და დამაჯერებლობას სძენს მის მოსაზრებას, რომ მთის კილოებში „ნართანიანი ფორმები ორობითი რიცხვისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული“.

ლოგიკურ დასკვნამდე რომ მიხვიდე და რაციონალური, მწყობრად არგუმენტირებული კონცეფცია შეიმუშავო, ათასჯერ უნდა გასინჯო და გადაამოწმო შენი ესა თუ ის მოსაზრება, მიგნება, ვარაუდი...

ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ, როცა უნივერსიტეტის ვაჭეთის სარედაქციო დავალებით ან გარდაცვლილ ფოტოჟურნალისტ მურმან ჩაჩუასთან ერთად მომიწია ბ-ნი აკაკის შეწუხება, საუბარში, სხვასთან ერთად, ისიც ბრძანა, „ჭინჭარი“ ხევსურულად „ჯინჭარია“ და ჭინჭარაულები ჯინჭარაულებად რატომ არ ეწერებიანო...

1949 წლის 17 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე გამართულ დოღში (მთიდან ცხენებით სწრაფდაშვებაში) მამაჩემიც (მამის 24-ის იყო, მე შვიდი წლის შემდეგ მოვეცინე ქვეყნიერებას) მოწანილობდა. უცნობი ფოტოგრაფის მიერ გადაღებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია რვა ხევსური ცხენ-მხედარი, მათგან ერთი ქალია — ვეტერინარი მარო სისაური. იქვეა ნათლიაჩემი — ხუტათ ბაჭყალი... მამა იგონებდა ხოლმე, საორტული ასპარეზობის დამთავრებისთანავე როგორ მივიდა მათთან აკაკი შანიძე, გაეცნო, გამოელაპარაკა, ორი-სამი კაცი საკუთარ სახლში მიიწვია და კახური ღვინით გაუმასპინძლა... მისაღებ ოთახში გახელისაული კატა ნებეირობდა, რომელსაც, სუფრისგან რომ მოეშორებინა, „თხაციო!“ — ხევსურულად გაუჯავრდა...

1913 წლის 3 აგვისტოს, როგორც „ხევსურული პოეზიის“ (ტფ., 1931) შენიშვნებიდან და ვარიანტიდან ჩანს, აკაკი შანიძე ჯუთაში, ჩემ სოფელში, იწყობება და ბაბუკი არაბულის „ნაამბობის“ მიხედვით იწერს ორ ხალხურ ლექსს: „ჩაგვირილა“ და „ლილველთ დაცემა ჯუთაზე“...

მაშინდელი მგზავრობისა თუ ღამისთვის შესახებაც ჰქონია მამაჩემთან საუბარი და გუშინდელივით ხსომეზია იმ პირთა ვინაობა, ვისაც აგვისტოს სულწინ „საქმის-დღეთ“ შეხვედრია არაბულების სოფელში...

ჭემმარიტი მკვლევარის გონება

გამუდმებულად მჩხრეკელისა და მაძიებლის მდგომარეობაშია; ირგვება და შრომობს დღელამის ნებისმიერ დროს, თვით ძილშიაც კი! ეძებს, ანალიზებს და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგებს ლაკონიური ოპუსებისა თუ ფუნდამენტური მეცნიერული მონოგრაფიების სახით აქვეყნებს...

ეს — ზოგადად.

ხოლო აკაკი შანიძე იმ მხრივაც გახლდათ სრულიად არარიგითი მოღვაწე და მამულიშობი, დიდი მკვლევარი და სამაგალითო პიროვნება, რომ სიტუაციიდან ვიდრე შუმ მსცოვანებამდე „სოფელში“ ხალხთან, ერის ღირსების განმსაზღვრელ და განმასახიერებელ „უბრალო“ ადამი-

პარალელი

კადრი რეზო ჩხეიძის დიდებული კინოფილმიდან „ჯარისკაცის მამა“: ომის აღმურისგან გამორეცხი, შვილის მამბარი სერგო ზაქარიაძე, საარაყვე ქვაბის ძირივით რომ უპირაღებს პირისახე და ნაბდის ქუდიც კახურ კოლორიტს მატებს, მყარ, „წყალგაუვალ“ არგუმენტს იშველიებს მორიგ შემხვედრთან ნერვიულ, მოთმინებანაკლულ საუბარში: „...შეშკომ ესალ, მაშინოი ესალ, აონ გავარიტ, შტო მოი სინ ზდეს ნეტუ!“

და ამ კადრმა მესხიერების შრეებიდან ნებაუნებლიედ გამოიხმო რამდენიმე წლის წინანდელი სალიმილო ამბავი: გურჯაანში ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატთა გამოსავლენი სამდღიანი ტური ტარდება. ლექსი, სიმღერა, ცეკვა, იუმორი... გამორჩენისა და თვითდამკვიდრების მსურველთა რიგს ბოლო არ უჩანს. ვინონებთ. ვინუნებთ... ზოგს ვაგებინებთ, ზოგის თავზე ამოდ ვკითხულობთ სახარებას — ვერაფრით ვარწმუნებთ, რომ მათ ლექსებს არაფერი აქვს საერთო ხალხურ პოეზიასთან, აზროვნების ხალხურ წესსა და ყაიდასთან... ერთი ქალბატონი ღამის პირველიდან ბოლო ფურცლამდე გვიკითხავს საერთო რვეულს და მთელ თავისი გონებრივი ავლადიდების მოშველიებით ცდილობს ჟიურის დარწმუნებას იმაში, რომ საეჭვო და საეგებო არაფერია, ის ხალხური მელექსეა და, ამდენად, ღირსი ფესტივალის ლაურეატობისა...

— შინ კიდევ მაქვს რვეულები, ნავალ, მოვიტან!..

ენერგიული ნაბიჯებით ტოვებს დარბაზს და ველისციხეში მიემგზავრება. ნახევარ საათში იღება კარი და რვეულების დასტით ხელში შემოდის დარბაზში.

აგრძელებს კითხვას. ვისმენთ. ვაფასებთ.

დასკვნა ისევე უარყოფითია: ერთი ტაეპირაა, წამლად ისიც არ ჩანს, ფოლკლორთან რამენაირ სიახლოვეს რომ ამჟღავნებდეს.

მოხალისე მელექსე, რაკი ატყობს, რომ ფუჭია მისი მცდელობა, სუფთა ღვინოდ გაასაღოს ჭაობის წყალი, ხმას იმადლებს და დარბაზში მყოფთა გასაგონად აცხადებს:

— სოფელში ნავსულვარ, ლექსები მომიტანია, ტაქსის შოფრისთვის ათი ლარი გადამიხდია, ესენი კიდევ მეუბნებიან, შენი პოეზია ხალხური არააო!.. გურჯაანის ჯერაც ხასხასა შუაგულური ფერდობიდან მარადისობას ესიტყვება ჯარისკაცის მამის (მახარაშვილის) უკვდავი ძეგლი.

ავტორისა და მურმან ჩაჩუას ფოტოები

ზურაბ მელიქიძე



ექვსეტი შუის ქვეშ დადებულ შავ-თეთრ ფოტოს..

მზის შუქი გეთამაშება თითებით..
შენ ხარ შავი და შენ ხარ თეთრი..
მილიონობით სპილოზე რომ სამნი ავმხედრდეთ,
ეს იქნება ავტონომიური ეგოცენტრიზმი..
ამიტომ, დავდივარ ფეხით და არა ფეხებით..
ამიტომ მაცვია ფეხსაცმელი და არა კარამელი..
ამიტომ არ ვაკეთებ სალტოს და არა ძილისპირულ შენიშვნას..
ამიტომ იავენანა..
ამიტომ მენატრება დაღმართი და არა უკულმართი..
ამიტომ გერჩენები წარმართად და არა გადაღლილად..
ამიტომ არ ვიცვამ შარვალს და არც მეზღვურის ზედატანს..
თავს ძალას არ ვატან, რომ ძლიერი თავი მქონდეს.. რალაც ჯანდაბად, ბოლოს გარეშე..
ამიტომ ვარ მე შრე და შენ არბენილი კიბე..
ამიტომ ხარ მოღუნული და არა მოსულიერებული..
ამიტომ გგონივარ მძიმე და ამჩნევ, რომ წერტილი არ დამისვამს ამისთვის
ლიფტში შესვლისას ამიტომ მიმიძღვის წინ შენი ბეჭები და ცხოვრებისეული ეჭვი..
ამიტომ გაგეჭვოც..
შენ ხარ შავი და შენ ხარ თეთრი და არა კორდონისფერი..
შენ ხარ ძირითადი ფერი და შუაში დამშრალი და კავშირის ნაცვლად წერიხარ..
სახელი „ა“..
შენ მინის ქვეშ დევხარ და მინიმალური კონტაქტი გაქვს თბილ ფალანგებთან..
ამიტომ ჩაეციცი ლურჯი აკვალანგი და შენი ასფალტის ქვეშ მოვცურავ,
როგორც თანამგზავრი..
ამიტომ იხედები საათზე ხშირ-ხშირად, რომ ფეხი არ აგერიოს და არ დანაოჭდე..
არ ჩამოგრჩები.. შენ ხომ კადრი ხარ.. და მინის ქვეშ დევხარ..
ოდესმე რომ გაიბზაროს ეს მინა და მწვანედ აღმოცენდე..
აღარ იქნები არც შავი და არც თეთრი..
და აღარც ტილოს სხეული, ქინძისთავით მიმაგრებული კედელზე და ჩალით სავსე..
ექსპონატი და არა კოსმონავტი..
მაჯების გარეშე..

მეკითხები —
რატომ ვზივარ და ვდარაჯობ სიჩუმეს..
ვრწყავ მიტოვებულ სახურავებს..
ვადაგასულ უესტებს, ფუნქციებს..
ყოფას ენას ვუყოფ..
მუავე ფაფით ვანაყოფიერებ ანწყოს ნესტოში..
სიზმარს დამბლადაცემული ვეთამაშები დამალობანას რბილობში..
აბლაბუდებში..
უბგეროდ დარჩენილ, ცარიელ ბალიში..
ცარცის ბრალია, აღარსად რომ აღარ მივყავართ ამ კვალს..
ის განყდა..
ყვავებს სიბერის არ ეშინიათ..
ოთახს უკაცურობის..
უკაცრიელი იმედგაცრუება..
მაგიდის მისადგომებთან..
გვერდზე დაწოლილ დანადგარებს შეუძლიათ დაადგინონ, —
დალექილი ვარ..
აქსესუარებს უარყოფით ძალას ვერ ვაცლი..
ვაცმევ ბავშვობის ტანსაცმელს ღამეს, გადაფასებულს..
თავში გაშლილი სათამაშოების მარში..
ვენინალმდეგები ისევ მანძილს..
შირმებს, — შიშის მშობლებს..
სივრცეს, ცალ ფეხზე შემცბარს..
ბგერების ბარიკადებს..
მზეს, რომელთანაც 12 წლის წინ განვქორწინდი..
დიდრონ თვალებს და
დასასრულს..
ნაცნობს და არცნობილს..

ნუ მეკითხები, რა დავარქვი მაშინ ჩემს პირმშოს..
თოვლში დამარხულ საღამურებს..
(დღემდე ვიშუშებ)
სახამებელი სახეებზე..
სკამი ანფასში..
თოვზე გაფენილ, გარეცხილ და გამოხარულ სკებს
კინძავს ქრონოსი წითელ ძაფზე..
საათის ჩირი..
მას შემდეგ, შენ რომ ჩემს სახელს ხელი გაუშვი,
უსახელო ვარ..
და ჩემი სახლი,
ირეალურ სამყაროს ბეჭზე, ჯერ კიდევ თბილი,
უცდის მისამართს..

გრძელი გაჩუმება ამ სიმარტოვეში..
ვგდივარ რომელიღაც თხრილში და ვსველდები..
გაჩერდე..
იპოვნო..
ჩამოჯე..
მოეშვა..
გავს სულის ნარჩენის ტბად გადაკეთებას..
დაგუბდა..
მოაქვთ და ტოვებენ ხმებს შენში..
ლამის მრუდე წელში ბრმა მატარებლები..
კომპი..
ლიმილი..
გაქრობის მომენტში..
აპირებ გაჩერდე,
მაგრამ, ვერ ჩერდები..
ქაოსი კვლავ ზურგზე წასმული დღის სუნით..
ქაოსი ქალაქის წრის შემოგარენში..
თამბაქო..
სკამი და
ჭიქაზე ნალექი..
გავს გრძელ პროცესიას,
ცხედარის გარეშე..

თუ დაგრჩა განცდა ცხელი მზის მიღმა..
იფანტები ინფანტილური, მაღალი გვირილების მტვერში,
ქალაქის თავზე..
ყველა ქალაქმა დაიზმულა უკვე თავისი,
და ბრბო ორღობეს უსხეულოდ მიერეკება,
გაურკვეველი ემოციებით,
მძაფრი, მკაფიო წვიმის შემდეგ,
ოზონის სუნში..
თუ დაგრჩა სურვილი,
სახურავზე ასვლის?
თუ დაგრჩა ძალა?
ამას ჯიბეში ვერ მოიძიებ, ასანთის კოლოფივით...
წვიმამ დაუკრას კიდევ ათასჯერ ამ ცარიელ თავის ქალებზე,
ქალაქი მაინც ტლანქი გაჩუმებით, ფართო ნაბიჯებით
არაფერს არ ცნობს..
ისევ მამის და პაპის შარვალში ჩაუნყვია ხელები და
უფრო შორს ვერაფერს ხედავს..
შენ?
დაგრჩა ძალა ამ ნებოვან ასფალტზე დგომის?
ან სიარულის
და მზის შუბლისკენ შემობრუნების...
ჩასუნთქვის მაინც..

მე შემიძლია, რომ ბოლოჯერ ავილო სუნთქვა,
ერთ დიდ ოქტავად,
მეყოს სიჩუმე
და კიდევ ერთხელ მოგძებნო ბრბოში,
მაგრამ, ვიცი, რომ კიდევ ერთხელ ჩამიჭრის მყევებს,
ნახვა, თუ როგორ ძლები საკენკით..
მარადიული „კარგად ყოფნის“ სურვილით მძიმე..

აღარ ვარსებობთ... სამუდამოდ გვშთანთქა მარადისობამ...
წვიმა რომ იყოს... ისიც ცოტა... კვალს ნაგვიშლიდა...
აღარასოდეს დავეყრდნობოდი მაჯებზე ნიკაპით,
რომ დაგვენახა მინდორი, რომელიც სახეში გვიბერავს..
გავუშვით... ისიც სადღაც გაფრინდა..
დავარქვით თავისი სახელი... პატარა, უპრეტენზიო...
აღარც ველოდებით, რომ ვინმე იცნობს, ნაცრისფერ ბაქანზე..
სამუდამოდ ჩამოუშვებს უგრძეს მკლავებს,
რომ ააცოცოს და
სახლში წაიყვანოს...
მუყაოს ნიღბით... კურდღლის ყურებით
ის ჩადგება კარში..
საჩვენებელი თითებით სუსტად ეხება კედლებს,
ამ კარის ჩარჩოს მიღმა..
შელებილებს და ცივებს,
სიღრმის გარეშე..
წვიმა რომ იყოს, დავივიწყებდი სამუდამოდ საკუთარ ჩვევებს...
სურვილებს ჩავანყობდი ძველ, სათამაშოების ყუთში,
საიდანაც დიდი ხანია გადმოვყარეთ მწვანე რაკეტები,
უკვე რომ აღარც ცდილობდნენ საღებავის შენარჩუნებას...
მერე მშვიდად მოვკვებოდი, ხის და სიჩუმის გემბანზე...
იხმაურეთ...
იხმაურეთ, იქნებ წვიმა მოვიდეს..

სანუთროს წრებრუნვა

წრე ყოველდღე ბრუნავს და ცითმოვლენილს შეჰყურებ... უჩინარი ქარი შლის თოვლზე შენს ნაფეხურებს. წრე ყოველდღე იზრდება, წრე ლაღობს და ბოგინობს... დასავლის მზე გადადის — ის მზე გადაგას, ლოდინო! იქით-აქეთ წვეთები მოჩანან გაბნეული; ხელს გიცარავს ავთვალი, ხელს გიმართავს გრძნეული. ცნობადის ხე ივლის და მარცვლავს შენს ნაფეხურებს... ოთხივე ხის ფუძიდან ცითმოვლენილს შეჰყურებ.

წერილი ფუტკარებს

როგორ აზამთრებთ, ფუტკრებო, დედას, დუმლილი როგორ აღამ-ათენებთ, ან დიდ ოჯახში რა სიზმრებს ხედავთ მითვლემილები ფიჭის კალთებზე. ზაფხულში სასოდ რომ ისახავდით, იმ ბალახებსაც თოვლის ქვეშ ძინავს, ვერ მოსცილდებით ბუნების სახადს, თავ-თავის ჭერქვეშ იმზადებთ ბინას. თავ-თავისი დრო განვევთ დროულად, დროულად გალხენთ მზე მწყალობელი. მიწყვი საუფლო სანთელს თხოულობს ჩვენი დიდი და მცირე სოფელი... არ დაიშუროთ ჩვენთვის წყალობა, სიამეს გვგვრიდეს თქვენი ხარება... გილოცავთ ღმერთთან წილნაყარობას და უფლისმიერ იდუმალეობას.

*** უძღურო და უპოვარო, რომ წუნუნებ ნამდაუნუნებ, აბა, მითხარ, რა ვუნამლო ემაგ გულისშემძვრელ წუნუნს... დღე ლოდინში ილევა და დღე თითქოსდა აღარ ჩქარობს... როს გაგისხნის სულის სარკმელს — ეს სანუთრო, უპოვარო!

ირაკლი ციგროშვილი

*** სად გაფრინდები, მზევალავ, მზემ რომ მოგკერძა იმ შვებით... ვინ იცის, სად იქნებიან ჩემი ძმები და შინშები.

რა იღბლისა ხარ, მზევალავ, რომ ფრენ ფოთლიდან ფოთლებზე... შინმოუსვლელთა საფლავებს თუ მაპოვნინებ ოდესმე.

მე რა გავიგო, მზევალავ, ემაგ იდუმალ ოცნების. რას ჩურჩულებენ საჩემოდ, რომ ყვავილობენ ბორცვები...

ცოდვილო მოუთმენლობავ, უმთვარო ღამის მთვარო... ამაღამ აიმ მზის ასულს ვის დაასიზმრებ მზევალო!

*** მწარამ მითხრა — ცხოვრება სიტკბო-სიმწარით გვსტუმრობსო, სიკვდილ-სიცოცხლე ოდითგან ჩვენ თვალწინ მოციქულობსო. ზოგჯერ სიამეს მოგვაგებს, ზოგჯერ ძალღუმადურობსო... ჟამის დენამ და ამინდმა რაც უნდა იმაცდუროსო, ნაპირზე მაინც გააღწევ, თუ გულის-გული გულობსო!

*** აპრილის დღეთა ტაბლასთან დაგსევს ლაჟვარდნასვამმა იის თვალემა და შენი ბალი სითბოთი სავსე ლოცულობს ციურ ხმის მოძალემა... მზის სადიდებლად იმლერა შაშვმა, მისი ხმა მისწვდა მთის და ცის კიდეს. ფრთოსანი იმავე სოფლისთვის დაშვრა, შენ რომ აშენე და დაიმკვიდრე.

*** ღმერთმა ერი და ბერი დაბადა და გამოძვრავს ღმერთი ათაბაბადან. ცხოვრების ხეზე მზის ყვავილობამ და დრომ მოშუშა მძიმე ჭრილობა.


დრომ გაუქარწყლა შხამი ობობებს, შენი საბოსტნე მინაც მოლობე. დაპურდი წმინდა რწმენის პურიტა შენი სათიბით, შენი ხნულითა.

*** აივსო შენი ხმა და იერი გზათა და ფერთა დასალიერით... ხან გამწყალობა მთების ბუნებამ, ხან ნერვი წენა წყველა-კრულემა... დასალიერზე კრთომამ ციერის შეცვალა შენი ფხა და იერი. ისე იგუე სოფლის ელფერი — როგორც განგების ზვარაკს შეჰფერის.

*** თავდაღმართის მდუმარება ყველა მხრიდან იცან, შეგეგუა შუაზამთრის დათოვლილი მინა. მარცხნივ კლდეა, პიტალო, მარჯვნივ ხევი ჩაჰყეფს... სავალს, ჯანლით გადაბურვილს, ბინდისხანზე ჩაჰყეფ. არ ილევა ეკალ-ბარდი, მიზოზინობ აქვე. შენ გიცდიდა აქამომდე ამ აღმართის თავქვე.

*** კელა ბუდემოშლილი ბრაზობს და იკბინება, უდარობაში ველარც გოლეული ინება... მიწრიელთან წილნაყარს — მწერი ჯაბნის ხალასი. ძლივსლა ისმის ზუული ცოდვილი კრაზანასი.

*** წვიმაა. არყის ფოთოლი ბზინავს. მზეა, თავისას არ იშლის წვიმა. შენ იყურები ფანჯრიდან გარეთ, პირს იბანს მნათი და გიღებს კარებს. ბაღში ბელურა უტკებდა აპრილს, ჩირგვებს გულ-მკერდზე გადასდის ქაფი... საამო ხილვებს ფერთა ცვლილების, შენ და ბელურაც ეხმატკბილებით.



აბა ჩალხურის ხმალი

ბახტრიონის ომის გმირისა და განთქმული მეომრის, აბა ჩალხურის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჯადოსნური ხმალი ჰქონია — თასმასავით წვრილი და დრეკადი დაშნა თუ კალდომი, რომელსაც ბანარულას ეძახდა და წელიდან არ იშორებდა, რაკილა უიმისოდ ვერ იბრძოლებდა აბა, ვერ ჩაჰკაფავდა მტერს მხარილივ, ვერ ჩაჰკეპავდა... აბას მარჯვენა არ ეღლებოდა მომხდურთა ხოცვით. ბანარულა თითქოს თავისით დათარეშობდა ბრძოლის ველზე, თავისით კისკასობდა, თავისით ეტევებოდა ცხენ-კაცს, ბრუნავდა ჯარასავით და გმინავდა, იმწუნებოდა, როცა სულდგმულის კენჩხოს ან ჩერანს მოჰხვდებოდა ბასრი პირით... ბევრჯერ შეეცა აბას ხმლის გვრინი, თუმცა დაკოდილთა და მომაკვდავთა კენესას მიაგვანა და არც უგუმანია, თუ ბანარულა იმდურებოდა ასე უსასოდ, სისხლით გაღამებული... აბა კი, მძლე აბა, მინცივ მებრძოლი, ზარდამცემი მტრისა, მუდამ ცეცხლის გირკალში იდგა და თითქოს სისხლიან ბურუსს ივლებდა გარშემო შარავანდედით, ჯანღს რასმე, მანათობელ ნიშბს მიმსგავსებულს, და ბრუნავდა გავეშებით პირ-ოფლიანი, სისხლ-ტიგრისიანი, ხმლის ღარიდან ჩამონადენი სისხლის წყალი რომ უსველებდა მაჯას, ჩასდევდა და უგუბდებოდა უბემი; მტრის სისხლი გასდიოდა აბას, აჭაობებდა მინას და ამასაც ფეხი უცურდებოდა, უსხლტებოდა კოჭი სისხლის ნაგუბარზე, რაკილა მინა დროულად ვერ იწოვდა სულიერის თხიერს და ჭახჭახდებოდა, ხაშმდებოდა ნაომარზე იმ ალაგას დამბალი, თითქოს წვიმით გამძლარი... მეფემ ბევრჯერ სთხოვა ერუქებინა ან მიეყიდა მისთვის ეს გრძნეული იარაღი, მაგრამ ვერ დაიყოლია თავისი ერთგული ყმა, ვერ დაათმობინა ბანარულა, რადგან უხმლოდ ვერ იცოცხლებდა აბა, ვერ ივლიდა სამზეოზე, ვეღარ გაილაღებდა ომით... აშკარად რომ ვერას გაჰხდა მეფე, ეშმაკობა მოიშველია: მიიელთა ლაშქარი დაჰპატიჟა სანადიმოდ და საუცხოოდ უმასპინძლა, ასეა, აჭამა და ძლიერაც დაათრო ღვინით, კასრებით რომ მოზიდეს მსახურებმა; მთელ-მთელად შემწვარი ხარ-ძროხა ხორად ეყარა სუფრაზე, ცხვრის სუკებსა და ჯივრის ყაურმას საამო ომნივარი ასდიოდა, თითქოს ბოლავსო, და ლაშქარიც ილხენდა, როგორც ომის შემდეგ სწევია ხოლმე მხიარულება ადამის ძეს, როცა თანამოძმის ხოცვით მოიღლებ... თანატომელებთან აბაც უჯდა უხვ სანადიმო სუფრას, უეცრად მეფის ასული რომ წაადგა ზედ ღვინის თასით.

— დაღი, აბავ, დაილოცე! მეფის წყალობაა!
 აბა დინჯად წამოდგა და თასი ჩამოართვა:
 — ღირსი არ ვარ, ბატონიშვილო...
 — მეფემ საგანგებოდ ბრძანა, რომ მე მომერთვა ეს ვერცხლის თასი! ფუქაშად გქონდეს, ოღონდ ხმალი აიხსენი, კაცო, წესი არ არის იარაღით სუფრასთან ჯდომა.
 აბამ წელზეთ აიხადა ბანარულა და მისცა ბატონიშვილს. არაფერი უგუმანია, განაგრძო ღრეობა, მაგრამ ნადიმის შემდეგ ხმალი რომ მოიკითხა, უთხრეს — ბატონიშვილი სასახლეში წაბრძანდაო... მიხვდა აბა, რომ მოატყუეს და გამგუნებული, კრიჭაშეკრული დაადგა ფხოვის გზას... მოლაშქრეებისათვის არ მოუცდებოდა... შინ ლოგინად ჩანდა და მაშინაც არ ამდგარა, მეფის მოხელე რომ ეწვია რამდენიმე დღის შემდეგ დატივრთული ჯორცხენით; მსახურებმა ზანდუკში ძლივს ჩაცალეს ოცი ლიტრა ვერცხლი — ბანარულას საფასური... მეფეს მართლაც არნახელი გულუხვობა ერეგებოდა თავისი უნჯი ყმისთვის, მაგრამ აბას ჩალადაც არ უღირდა ახლა მეფის წყალობა...
 — წაიდ, ცეცხლში ჩანვი! — უთხრა ჯალაბს მეფის მოხელის წასვლის შემდეგ და სინგურით ნაწერი სიგელი მიაწოდა, რომლითაც აბას აზნაურობა ეძლეოდა, თუმცა კი ფარატინა ქალადი იყო ეს მისთვის. სიგელი რომ ჩანდა, აბამ თორი გადაიცვა და თავლიდან თავისი შავრეში გამოიყვანა.
 — სად მიხობ, კაცო? — გასდია ჯალაბმა.
 — მეფეს ჩემი უპატიობა უნდა

ზურაბ ლავრელაშვილი



ვაზლვეინო.
 — გონთ მოდი, აბავ, მოგკვლენ, სულჩქარად ნუ სჩქამობ.
 — ზინეთი კმა გაქვისთ, თუ ვერ დავბრუნდი... ბაღლები შამინახოდი! — აბამ ცხენი გაქუსლა და ჩაეფარა გორის ფხას... მას შემდეგ ჭორ-ნაცილად თუ იგებდნენ მის ამბავს: არაგვის ერისთავს დაუდგა მოლაშქრედ და მეფეს ებრძვისო... ერისთავს დიდი ხნის შუღლი აქვდა მეფისა და ლაშქარს აგროვებდა მთაში, აბაც იმის რაზმში ჩაწერილიყო, მეფის ჯარს ებრძოდა... ჯერ კი მხნედ შემოუტია ერისთავის ლაშქარმა მეფის ჯარს, მაგრამ მერე იძალა ჯარმა, ალყად შემოადგა ერისთავის ციხე-სიმაგრეს; აბა გაფაციცებული დაეძებდა ბრძოლის ველზე მეფეს, შური რომ ეძია, მაგრამ მეფე თავად არ ჩადიოდა ხმალდახმალ, სარდლებს აგზავნიდა... მთიელთა ლაშქარი იოლად გაჰფანტა მეფის ჯარმა, ერისთავი კი ციხეში შემოკლდა; გაქცეულ ლაშქარს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჯარი და მთიელთა სოფლებსა და ქვითკირებს ანგრევდა და სწავდა... აბამ იხილა ნადგურისცემა, მსუბუქად დაკოდილი გაერიდა დამსჯელ ჯარს, ტყეში შევიდა... დარანში ბინადრობდა, ხინატელს ჭამდა, წყაროს წყალს სვამდა, ღამითადა გადსწევდა ბუჩქნარს, დაჯდებოდა ხის ძირას და აჭყურებდა ვარსკვლავებს... გაქცეულ მოლაშქრეებზე ნადირობდა ჯარი, გზები შეეკრთა, ყარაულები დაეყენებინათ; აბამ მაინც გაჰხვდა და გამოვიდა გარეთ, დანგრეულ სამლოცველოსთან დადგა ეჭვით მზირალი...
 სამლოცველო ჯარს გადაეწვა, ქვითკირის დარბაზი ხორხად ექცია, ნანგრევები ქვის ჭორტად ეყარა... აბამ ხელი შეჰყო ქვეშ, ლუკმის ნამუსრევს ეძებდა, დანატოვარ ძღვენს, ხატის სამხვეწროს ნაშთს... რაღაცაზე მოუხვდა ხელი, გამოსწია და ვერცხლის თასი გამოიღო, უცნაური ნარწერებით დატივრთული, ჯვრებით გამშვენებული, მოზარნიშული... თასს მტვერი ნაწყუროდა, ჩამუქებულიყო, გამურვილიყო... აბამ სახელოთი გადასწინდა მნიკვლი და ზურგსუკან ნაბიჯის ექო მოესმა. თასი კალთის ქვეშ შემაღლა უცნობს უკმეხად მიუბრუნდა. სახატესთან ყმანვილი ალანდულიყო, ფხოვური სამოსი ეცვა და ვადაჯვრიანი ხმალი ეკიდა თემძზე.
 — ვინა ხარ? — ჰკითხა აბამ.

— ხევისბერ მანგიურის შვილიშვილი ვარ, ბერდია... თაოდ ვინ იქნებოდი? ქადაგი თუ...
 — მგზავრი ვარ, სხვა სოფელს მივალ.
 — ეგ თასი... — ველარ დაათვა ბიჭმა,
 — პაპამ გამამგზავნა თასისთინ, ჯარი რო შესევია ხატს, ლოდებში ჩაუგდია პაპას, დამალვა ვეღარ მაუხსნია... შენ იპოვეა?
 — შემთხვევით ვნახე... მამ ხატისაა ეს სასმური?! აჰა, დაიჭი.
 ბიჭმა თასი გამოართვა და აბგაში ჩადო. მერე ისევ ჩაიყო ხელი, ხმაიადს კოტორი ამოიღო.
 — გამომართვი, მშვიდი იქნები, მემრ სოფელში წამყევ, პაპას გაუხარდება შენი ნახვა, თასი რომ აპოვინე.
 — არაფერი მინდა, მადლობელი ვარ.
 — ჯარმა გაიარა უკვე, ნულარ გეშინისაგ.
 — არ მეშინია, სხვა სოფელს მივალ.
 — ნამედ, გვისტუმრე, სოფელი არსად წავივა.
 აბა გაჰყვა.

 ხაშისბერი მეტად მრავლად დაეკეჭნათ და იარები გაარჯლებოდა, კვდებოდა...
 — გველის შხამი უნდა ვიშოვნოთავ, ვერ გადაშვებიავ, — ბერდია აბგაში პურსატანს ილაგებდა, ბანდულებს ისხამდა, — მთას იქით ვიცი მშრალხევი, იქ ბუდობენ უხსენებლები...
 დილაბნელზე გავიდნენ შინიდან და აუყვინენ მთის ფერდას. ბერდიას თასი წამოეყოლებინა, გზადაგზა აბას ურევენდა თასის პირზე ფოსოებს.
 — აემ ალაგას თვალი პატოსანი ესხდნენ უწინ თასს, ნანგრევებში დასცივიდა ალბათ... გველს ხვითო აქვს, თუ მოვხელებ, გავანყობთ ისევ სასმურს, ხატის კარს მივიტანთ.
 — ხვითო?
 — ჰო, შავი ალმასი.
 — მანდ ბევრია ქვების ადგილი, ყველა გველს ნაართვით?
 — ადრე კაცსაც ჰქონია შავი ხვითო... ვინც რო ღვთის სათნო და უწყინარ იყვის, მზისწულში ეზრდებოდა თურმე ქვა, ის კაცი ხატის მსახური იყო ყოველთვის. სიკვდილის ჟამს დაიჩოქებდა, ხლით გაიპობდა გულს და იქიდან ხვითოს ამოიღებდა...
 — პაპა მანგიურს არ აქვს ეგ ქვა?
 — არა. სოფელ-ქვეყანა გაუნმინდურდა და დაიკარგა ქვა, აღარ ეზრდება კაცს. აღარ არის შავი მზე. იმ ქვას ეძახდნენ ეგრე.
 — ქვა არა, მაგრამ გრძნეული ხმალი მქონდა, ბანარულა... მეფემ წამართო, ვერ დავიბრუნე.
 ბერდიამ არაფერი უთხრა. დაისვენეს, დანაყრდნენ. აბას წასთვლიდა და თავისი ხმალი ესიზმრა: წვერი დასობდა მინას, ღარიდან სისხლი სდიოდა, უცებ აგიზგიზდა და ცეცხლის ელვა მოედო. სხვის ექოს ისროდა ხმალი, ვარვარებდა, ნელი-ნელ დანმამხნა და უხსენებლად იქცა, პირიდან კი კვერცხი გადმოუგორდა... ძილში კარგად რომ დააკვირდა აბა, შავი ალმასი ეშვა გველს, ის კიანთობდა უჩვეულო ათინათით...
 — ხვალამდე ვერ მივალთ მშრალთხევს, — თქვა ბერდიამ, — ამალამ შინებში გავათითო.
 პატარა სოფელს დაუახლოვდნენ, მთის უბემი მიუყუდო, ობლად ნაშენ რამდენიმე ქვითკირს, ბანიან მინურებს... ნათესავებმა უსიამო ამბავი დაახვედრეს მგზავრებს: ერისთავი შეეპყრო მეფეს, ხევის გამგებლად კი მისი ძმა დაედგინა, ვინც ერისთავის წინააღმდეგ ეშველებოდა მეფეს; ახალ განმგებელს დავალებოდა მთის საბოლოო დამორჩილება, გატეხვა, რათა ვეღარ ეურჩა ფხოვს, ვეღარასოდეს ექნა ბუნტი ბარის ხელისუფლებსადმი... ლაშქარი შესეოდა კვლავ მეფის ბრძანებით მთას, სალოცავებს დარეოდა, სოფლებს იკლებდა...
 მასპინძელმა სიფრთხილე ურჩია — ჯარი უღელტეხილიდგან გვიახლოვდება და მოერიდეთო... თურმე ზემოდან აპირებდა ერისთავის ლაშქარი შემოვლას და ბარისკენ მთიელების ჩარეკვას, ამიტომაც მთა-მთა მოსდევდნენ სოფლებს და აოხრებდნენ...
 — უკან გაბრუნდით, სხვა დროა, ჯარს

არ გადაეყაროთ, — გააფრთხილა მასპინძელმა, მაგრამ ბერდიამ არ დაიშალა — მომაკვდავი ელოდა შინ და უწამლოდ ვერ გაბრუნდებოდა... აბამ და მან დილითვე განაგრძეს გზა, შუადღემდე უღელტეხილს უწიეს კიდევ... კორტოსზე ბებერი მუხა იდგა, შიბებითა და ქსოვილის ნაკუნებით მორთული. ეს მთიელთა სალოცავი იყო, ხემხვივანი, წმინდა მუხა, რომლის რტოებშიც ანგელოსი ბუდობდა. ბერდიამ თასი წყლით გაავსო და მუხის ძირას დადგა, თავმოდრეკით ლოცულობდა, უცებ რომ დაიგმინა და მკერდზე ხელი იტაცა; ანაზად მოფრენილი ისარი შესლობდა გულში, მკერდი გაეგლიჯა და ნაქცულს შავი, შესქელებული სისხლი სდიოდა...
 აბამ მიშველებაც ვერ მოასწრო, ქიბური მასაც რომ დაერჭო მუხლში, გვერდით გადახტა და ჩაგორდა ხევში, ლოდს ამოეფარა. ზემოდან მეკობრეთა ხმა ესმოდა — მას დაეძებდნენ. აბა ჩოჩვით გაერიდა იმ ადგილს, მოძებნა დარანი, მუხლი შეიხვია. ისარი ვერ ამოიღო და ძირში გადაამტვრია, მაგრამ სისხლისდენა კი ვერ შეიჩერა. ცხელბა მოედო ტანში, გათანგა, გაავარვარა, ააღდა თითქოს გაშანთებული... ცნობამხიდილი ინვა და სიკვდილს ელოდა, რალაც მქისი და ცივი რომ გადაუსრიალდა კვირისთავზე... თვალი გაახილა და მზერა შეასწრო გველის კუდს, ბალახებში რომ მიიშალა, მერე მუხლზე დაიხედა: უხსენებელს ჭრილობა დაენერწყვა, იარაღარც კი ჩანდა, თითქოს თავისით შეეკრა პირი... აბა წამოდგა და კოჭლობით ავიდა მუხასთან. მეკობრეებს თასი წაეღო და აღარც ყმანვილის ნეშტი ჩანდა, მუხის ძირას კი მაინც იდო ძღვენი თუ შესანიერი — ღვინით სავე თიხის ჯამი... აბამ მოიყუდა და ერთი ამოქმენით დასცალა მაკურნებელი სითხე, ხის ძირას მიჯდა, ახედა ცას... ცა ლურჯი იყო, ფართე, უხინჯო... ციაგი ნათდებოდა და უხილავ ფერებად ლივლივებდა ქვეყნიერების დამტვე მის წიაღში, სკნელთა სიმრავლე იხილევებოდა, საუკალივით ბრწყინავდა სხივმოსილი...
 კვამლის სუნი მოედინა ქვემოდან. აბამ სოფელს დახედა: სახლები ინვოდა, აქეთკენ ამომავალ ბილიკზე შეიარაღებული ჯარისკაცები ხალხს მოერეკებოდნენ... მუხასთან რომ ამოჩნდნენ, აბა წვერილიანში შეიშალა — ერისთავის მოლაშქრენი იცნო. მუხის წინ, მცირე ველობზე დააყენეს მათ ხალხი, გარს შემოერტყნენ, რკალად მოზღუდეს და ვილაც ანაფორიანი კაცი წინ წამოდგა, თოფრაკით ხელში... ტყავის აბგა უცნაურად ხტოდა, თითქოს ცოცხალი იყო და თავის დღეევას ცდილობდა კაცისაგან, იმან კი თოფრაკში ჩაყო ხელი და შავი კატა ამოიყვანა. საცოდავად ღნაოდა ციცი, ფეხებს ასხმარტალებდა, იგრიხებოდა, მაგრამ კაცს მტკიცედ ეყრა, უკანა ფეხებით ჩაბლუჯული... მუხასთან მივიდა და კატა ხეზე დაჰკიდა, მერე ხმლიანი მოლაშქრე ხეს მიუახლოვდა და ცხოველს მახვილი მოუქნია... ორად განკვეთილი კატა უცებ გაჩუმდა, სისხლი კი მუხას გადაესხა და ზედ ჩამოედინა... ხალხს ოხვრა აღმოხდა, დედაკაცები ტიროდნენ და მჯელი იცემდნენ მკერდში. ხელცულიანი ორი მოლაშქრე ხეს მისდგა და დანაფოტება დაუნყო... აბა ბუჩქნარიდან უთვალთვალებდა ხალხს და უცებ გვრინი შეესმა: ქალები ტიროდნენ და მოთქვამდნენ, მაგრამ ეს მაინც არ იყო ადამიანის ხმა, ბანარულა იხორშებოდა თითქოს, ის კვენსოდა მენუხებულო... თუ მუხა ჭრილობა და გმინავდა სულწაღებული? მარტო აბას ესმოდა ეს ხმა, ყურს სტკენდა და ვეღარ გაუძლო, გამოვიდა ბუჩქნარიდან, უჩუმრად შეერია მოლაშქრეებს, უჩუმრადვე გააძრო ვილაცას წელიდან მახვილი და მუხას აესვეტა. ხელცულიანი მოლაშქრეები გაკვივებულები მიაჩერდნენ.
 — უკან დაინით, — ხრინით თქვა აბამ, — მუხას არ მოგაჭრევენებთ.
 ანაფორიანმა ხელით ანიშნა მოლაშქრეებს — განაგრძეთო...
 — გაეცალეთ! — თქვა აბამ და შეათამაშა ხმალი, თითქოს თავისი ბანარულა ეყრა ხელთ, ის კისკასობდა, ის სხიოდა მზეზე. მოლაშქრეებმა მისკენ მიიწიეს, მაგრამ აბამ მსუბუქად გადაჰკრა ერთ-ერთს მახვილი... მეორემ ცული მოუქნია. აბამ აიციდინა და მარჯვენა წაასხევა ცულიანს, კვლავ შეათამაშა ხმალი.

— მოკალით! — დაიღმეულა ანაფორიანის გვერდით მოლაშქრეთა უფროსმა, ნაპვლივჯა ვილაცას შუბი და აბას გაუქანა... შუბმა გველივით გაინივლა ჰაერში და ენაწაგდებული ეძგერა აბას, ხეს მიალურსმა. აბას მკერდში შეესო ბასრი რკინა, მაგრამ ტკივილი როდი უგრძენია; ეგ კია, თავი ჩამოუვარდა და სისხლი დასდინდა გულიდან... ხის ტანს ჩაჰყვა ნითელი ზორტი, დაეშვა დაბლა, თიხის ცარიელ ჯამში ჩაედინა...

თალხი მზე გაბრწყინდა გორის ფხაზე — შავი აღმასი...

შიხ

— შუქ, — წამოიკვილა მის ლაუტონმა, — როგორ შემამინეთ...

უბაკენბარდო ჯენტილმენმა ძირს დავარდნილი მარაო აიღო და...

ალისას უყვარდა კითხვა და სერ ჰორასიცი, ცოტათი ექსცენტრული, მაგრამ კეთილი ბერიკაცი, ხშირად იპატიუებდა თავის ბიბლიოთეკაში, რომლის თაროებზეც სქელ ყდაგადაკრული უამრავი ნიგნი მტვერდებოდა. ბიბლიოთეკის დარბაზში მდგარი სერ ჰორასი, კოლექციით თავმომწონე და ცქვიტი, გადაშლილ ტომს საჩვენებელ თითს სწევებდა, რათა ალისასთვის მოუწყინრად გაემეორებინა:

— ჩემო კეთილო გოგონი, ცხოვრება ის როდია, რაც გვგონია...

დაკბილულკონგურებიანი ციხე-დარბაზი, სერ ჰორასის ძველი ნიმუშების თარგზე რომ აეშენებინა, თითქოს ნიგნებში ამოკითხული ამბების თვალსაჩინო გამოვრება იყო: მინისქვეშა ტალანები, ჩაჟამებულები და გრძელი დერეფნები, უფანჯრო ოთახები, ჩიხით დაბოლოებული ლაბირინთები საგოგონას ჩურთქს უკრავდა და სულ სხვა სამყაროს ჩქორღვას აგრძნობინებდა, ვიდრე ეს იყო: ნათელი, მყუდრო, მოსაწყენი... სერ ჰორასს უძველესი მანუსკრიპტებიც კი ჩაემალა თაროების კუთხე-კუნჭულებში, რათა მპოვნელს ნინარე ჟამის საშინალება შეეგრძნო... მანუსკრიპტები ლათინურად იყო ნაწერი, სანსკრიტთან შედევით, საგვარეულო წყევლას რომ ამცნობდნენ ნამკითხველს... სერ ჰორასს მაინც არ მოსწონდა ციხე-დარბაზის განლაგება, ჩიოდა — საცხოვრებლად უვარგისია, დერეფნებში მუდამ ქარი უბერავს, წყნარ ამინდშიც კი, კედლებიდან კი ბათქამი ცვივა და სიცივეს ვერ იჭერს; მან არქიტექტორი მოიწვია და ახალ პროექტს ჩაუკირკიტა, რათა ციხე-დარბაზი, ბოლოსდაბოლოს, საცხოვრებელს დამსგავსებოდა და კვლავ კუდიანი ქარის სათარეშო გვირაბად არ დარჩენილიყო — ბნელი, უნდობარი, როგორღაც საშიში... ალისა მარტო უჯდა ბიბლიოთეკაში საყვარელ ნიგნს, ზოგჯერ აიღებდა რომელიმე ტომს და ფანჩატურში მიდიოდა საოცნებოდ, უფრო კი გედების საცქერლად, გუბურაზე ისე რომ დაცურავდნენ, როგორც ღრუბლები ცაზე; ალისა მეოცნებე იყო... დამით, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი, დაჟინებით უჭვრეტდა მთვარეს, თითქოს რამე შეუცნობელს მოეღისო; თითქოს ის უნდა მომხდარიყო, რაც მარტო მისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი და სხვა არ ეცოდინებოდა; იოლად ტიროდა და ზოგჯერ გულყრაც მოუვლიდა მცირე რამ მიზეზის გამო... ბიბლიოთეკაში მყუდროდ იყო და ნიგნში ამოკითხული ამბები არ ამფოთებდა, რაკ ეს ამბები ნიგნის გმირების თავს ხდებოდა, მენ კი შეგედლო შორიდან გედვინებინა თვალი და თან განგეცადა, გეგრძნო ამათი ბედი თუ უბედობა...

ისიც დანთქმულიყო კითხვასა და ოცნებაში, როგორც მარგალიტი — თავის ლუსკუშაში, სანამ ბიბლიოთეკის სიმყუდროვეში არტური გამოჩნდებოდა, ნიგნის გმირივით, თითქოს ალისას გამოეხმოს ის ნაბეჭდი ფურცლებიდან... არტურს კოლეჯი გაესრულებინა და ბიძას სწევოდა ლონდონიდან საგვარეულო მემკვიდრეობის გადასაბარებლად; სერ ჰორასმა ის თანამემწედ დაიყენა, რათა არტური მამულსა და ციხე-დარბაზს კარგად გასცნობოდა.

— მინდა, ყმანვილი წესრიგს მივჩვიო, — უთხრა მან ალისას, როცა არტური გააცნო, — იმეგობრეთ, ოღონდ ნუ იცვლქებთ...

სერ ჰორასმა, როგორც სჩვეოდა, წყვილს თითი დაუქნია და სამუშაოთა

დასახედად წავიდა; მას ლალუმით კედლების აფეთქება განეზრახა, მაგრამ თან შიშობდა, ვაითუ აფეთქებამ ციხე-დარბაზი მთლიანად დაანგრისო, და ბრძანებას აგვიანებდა; ალისა და არტური ბაღში გავიდნენ, იქიდან — სერ ჰორასის ვრცელ მამულში, რომელიც მალე არტურს უნდა რგებოდა მემკვიდრეობად; ეგ კია, არტურს დაჰინყებოდა სოფლური ყოფა, ვედარც ყვავილისა თუ ხის სახელი მოეგონებინა და ალისას სთხოვდა, გამახსენეო... ალისამ ხელი ჩასჭიდა და ორივენი დაულალავად დატანტალებდნენ ფერადოვან მდელოზე; არტურის აზრით, აქ ყველაფერი ქარაგმა იყო და შეგედლო საგნისა თუ ნივთისათვის რაც გინდოდა ის დაგერქმია; სულ ერთია, საიდუმლოს მაინც ვერ შეიტყობდი... შიფრი მარტო ბიბლიოთეკაში ჩამალული მანუსკრიპტით განიმარტებოდა და არტურიც გაფაციცებით დაეძებდა სერ ჰორასის მიერ გადაძალულ ხელნაწერებს, საუნჯეს რომ აპოვინებდა; ჯერ როდი იცოდა, საუნჯე რა იყო, მაგრამ იერონიმოს მაინც ფრიად საეჭვოდ დაუმეგობრდა; იერონიმო მნე იყო ციხე-დარბაზისა და ბიბლიოთეკაში მომსვლელებსაც ემსახურებოდა: შავსათვალისანი, სუტანასავით შავით მოსილი იერონიმო აჩრდილივით გეგებებოდა ზღურბლზე და თავაზით, ყინულივით ცივი ხმით გინვევდა შიგნით:

— მის ალისა, მობრძანდით...

ალისას აზინებდა იერონიმოს განუჭვრეტი უმოძრაო სახე, თითქოს მიცვალებული აღმდგარიყო საფლავიდან... მისი წარმომავლობა არავინ იცოდა; ზოგი განსვენებული ბატონის ბუშად თვლიდა — ვითომ ძმა იყო სერ ჰორასისა და ციხე-დარბაზშიც ამიტომ აცხოვრებოდა, ამბობდნენ, მაგრამ ამ ვარაუდის თუ ქორის სინამდვილე ვერ დაადგინეს; იერონიმოს კი, ჩანს, დიდად არ აღელვებდა ეს მითქმა-მოთქმა და კმაყოფილიც იყო თავისი ხვედრისა... ის გადაეტებული თავაზით ექცეოდა ახალგაზრდა ბატონს და საიდუმლოდაც ხშირად ეჩურჩულებოდა, მაგრამ ერთხელ შელაპარაკება კი მოუხდათ... ეს მაშინ მოხდა, ალისას საყვარელი ბატკანი რომ დაიკარგა... ალისას გაგიჟებით უყვარდა ბამბის ქულასავით ქათქათა და ხუჭუჭა კრავი, რძეს ასმევდა, ანებივრებდა, ჰბანდა, ვარცხნიდა და წითელი ბანტით რთავდა, მაგრამ ერთ დღეს ბატკანი მოულოდნელად მკვდარი იპოვნეს სერ ჰორასის მამულის მივარდნილ ხევში, მუხის ქვეშ, ყელგამოჭრილი... გვერდით იერონიმო ედგა სისხლიანი დანით ხელში და ცხვირზე დაკოსებული ლორწოვანი გულგრილად დასჩერებოდა ლემს, მის ფერხითი კი შავი გორგალივით ხტოდა და გაუთავებლად ყეფდა პატარა პუდელი...

იერონიმო ფრიად უცნაურად განმარტა მომხდარი: კრავი იმიტომ დავკალი, გაცოფდა და პუდელი დაკბინაო...

ზუსტად ეს თქვა:

— კრავი გაცოფდა...

განრისხებულ არტურს უნდოდა მსახური გაეძევებინა, მაგრამ იერონიმომ როგორღაც უცებ მოუღბო გული... არტურმა გაამხილა, საიდუმლო ხელნაწერის ჩვენებას დამპირდაო...

— მინისქვეშეთში მინდა ჩავიდე... ნამომყვები?

— მეშინია, არტურ...

ალისას ეგონა, არტური სიყვარული გასამხელად ეპატიუებოდა ქვემოთ, მაგრამ მოტყუვდა: არტურს მარტო ის უნდოდა, განძი ეპოვნა და საიდუმლო ცოდნას დაჰპატრონებოდა, რაც შეუძლებელს შეაძლებინებდა... მან ხელი ჩასჭიდა ალისას და მინისქვეშეთში ჩაიყოლა... სავალს მანუსკრიპტით იგნებდნენ, ბიბლიოთეკიდან რომ წამოეღო არტურს იერონიმოს რჩევით... დროდადრო სანთელს მიანათებდა გაყვითლებულ პერგამენტს და ხან მალა ადიოდნენ და ხან ისევ დაბლა ეშვებოდნენ — თვალმუდგამ წყვილია... ალისა დაილაღა, თან იმედი გაუცრუვდა, რაკი სულ სხვანაირად წარმოედგინა არტურთან სიახლოვე... სანტიმენტალურ თხზულებებში რომ ამოეკითხა მანამდე, ისე... ამ თხზულებებში ქალ-ვაჟი უთუოდ ფანჩატურში ისხდნენ, ძელსკამზე კი გადაშლილი ნიგნი იდო, მარათი მონიშნული; ნიავი ხის ფოთლებს აპრილებდა და ბურქებიდან ჩიტის სტვენა ისმოდა... ვაჟი ხელს უთათუნებდა სატრფოს, საალ-

ერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, ნაზი ამბორით ცდილობდა გულისნადები შეეტყობინებინა... აქ კი რა იყო: კუმეტი, სიბნელე, მქისი სუნი... არტურმა ის ქვის ძელსკამზე ჩამოსვა სიბნელეში და პერგამენტს ჩახედა: აქვე ახლოს საიდუმლო კარი უნდა ყოფილიყო, რომელიც ფარულ ზამბარაზე თითის დაჭერით გაიღებოდა... არტურმა მანუსკრიპტზე ის ადგილი უჩვენა ალისას, ნითელი ჯვრით რომ იყო მონიშნული, მერე კედელს ხელის ცეცებით გაჰყვა და იოლად იპოვნა საკეტი:

— ალისა, დამელოდე...

სანთელი ჩამწვარიყო, მაგრამ კარი გაიხსნა და საიდუმლო დარბაზის მანდურში შემოდგომულმა ლამპამ გაიკრიალა. არტურმა ზღურბლს გადააბიჯა და იმავე ნამს მის ზურგსუკან ღრჭიალით დაიკეტა რკინის კარი.

— არტურ! — შეჰკვილა ალისამ.

კარს იქით ჩამიჩუმო არ ისმოდა. მერე არტურმა მწუხარე ხმით გამოსძახა:

— იერონიმომ მომატყუა, ალისა... მანუსკრიპტის ნაცვლად ბულალტრული ჩანაწერები გამოუტანებია...

— არტურ, ეცადე კარი გააღო!

— საკეტი მანდ აქვს, ალისა, მოძებნე და გამომიყვანე...

ალისა ლასლასით გაუყვა კედელს, ხელის ფათურით, რათა საიდუმლო ზამბარა ეპოვნა, მაგრამ ორიოდ ნაბიჯიც არ წაეგდა, მყისვე მიხვდა — კარი მხოლოდ მოსაჩვენებლად იღებოდა შიგნად, ყოველივე კი მირაჟი იყო... არც საიდუმლო არსებობდა... ამის ნაცვლად ალისა ცხადად ხედავდა მზის შუქით განათებულ ფანჩატურს, ხეივანის ჩრდილს, ძელსკამზე გადაშლილ ნიგნს, რომლის გვერდით ცრემლით მონაშული, სურნელბანაკურებით ბატისტის ცხვირსახოცი იდო... ნიავი მსუბუქად სწენავს მარაოს ფორებს და ბურქებიდან ჩიტების სტვენა ისმის... ყმანვილი ქალი მოუთმენლად იღებს მარაოს და უცებ ხელდან უვარდება, რადგან სატრფოს ხმა ესმის და ოდნავ ნამოკივლებს:

— უჰ, არტურ, როგორ შემამინე! ჯენტილმენი იხრება, მარაოს იღებს და...

— წყეული ბიბლიოთეკარი, — კარს იქით გიჟივით შეჰყვირა არტურმა, — აქედან გამიყვანე, ალისა.

ალისას თმა მსუბუქმა ნიავმა გაუწენა და გაიღმა. ის შინ იყო.

ზემოთ კი სერ ჰორასმა მუშებს უბრძანა, ციხე-დარბაზის საძირკველში ლალუმი ჩაედოთ...

ნილაზი

მეტიქსქმეტი საუკუნის დამლევს, 1587 წელს, როცა სერ უოლტერ რალის მიერ ახალ მატერიკზე გაგზავნილმა ექსპედიციამ კუნძულ როანოკზე პირველი ინგლისური ახალქონი დააარსა, ჯონ დიმ, სამეცნიერო საბჭოს წევრმა და კარის ასტროლოგმა, მოგვიანებით კი, მანჩესტერის ქრისტიანული კოლეჯის რექტორმა, დედოფალ ელისაბედს გენიალური გეგმა შესთავაზა: ესპანელებთან გარდაუვალომში გასამარჯვებლად ინგლისის ფლოტს გრენლანდია უნდა დაეკავებინა, რათა შექმნილიყო პლაცდარმი ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე ჯარის გადასახმელად; საიდუმლო საბჭომ დის გეგმა მოინონა, მაგრამ ექსცენტრულმა ელისაბედმა ეს იდეა უარჰყო და მსოფლიო ისტორიაც ჩვენთვის ნაცნობი გზით წარიმართა — შეერთებული შტატების ინგლისისაგან ჩამოშორებით და დიდი ბრიტანეთის მზის თანდათანობით ჩასვენებით.

ოღონდ მანამდე ისლანდიის მახლობლად მცურავ ინგლისურ საფოსტო გემ „ბეკფორდს“ ებრძანა გრენლანდიასთან დრეიფზე დამდგარიყო და შემდგომი განკარგულებისათვის ელოდნა; ფლოტის სარდალი იმედოვნებდა, დედოფალი გადაწყვეტილებას შესცვლისო და სურდა კუნძული დაეზვერა — „ბეკფორდი“ ხომ სამხედრო ხომადი იყო, მოსაჩვენებლად ფოსტა რომ დაჰქონდა დანასა და ისლანდიას შორის; ტრიუმფი კაპიტანს რამდენიმე ზარბაზანი ჰქონდა მიმალული ქმუხით სავსე ტომრებს უკან, რათა საჭიროების შემთხვევაში პასუხი გაცვა წყნარი ოკეანის მეკობრეებისათვის ან ინგლისის ფლოტს დახმარებოდა, თუკი



რომელიმე გემი ესპანელთა ალყაში მოექცეოდა. ბრძანების შესაბამისად, კაპიტანმა გეზი იცვალა და ხომალდი დანის სრუტეში შეიყვანა, სადაც ლუზარჩაშვებული „ბეკფორდი“ რამდენიმე დღე უქმად ირწეოდა მშვიდ ტალღებზე... მეზღვაურები როგორმე რომ გაერთო, კაპიტანმა მათ წარმოდგენა გაამართინა... გემის ექიმს თან პიესების კრებული ჰქონდა და მატროსები ხალისით შეუდგნენ იმხანად მოდური სპექტაკლისათვის სამზადისს; ძველი აფრისაგან სუფარა შეკერეს მკვდრეთით აღმდგარი მოჩვენების როლის შემსრულებლისათვის, კაპიტანის კამზოლისაგან კი — პრინცის სამოსი, ვისაც შური უნდა ეძია უღმერთოდ მოკლული მამისათვის; რეპეტიცია მთელი დღე მიმდინარეობდა, ჩვენება კი საღამოსათვის იყო დანიშნული... შეღამებისას გემბანზე მამხალეები ანთეს, რათა წარმოდგენას მეტი ხიბლი მისცემოდა, როცა სცენაზე მოკლული მამის აჩრდილი შემოვიდოდა და სანყალობლად დაიძახებდა: „შური იძიე, ჰამლეტ!“ ეს ეპიზოდი ყველას ალაფრთოვანებდა და რეპეტიციაც უთვალავჯერ გაიმეორეს, რათა ეფექტი შთამბეჭდავი გამოსულიყო... თამაშმა ყველა ისე გაიტაცა, რომ ვერ შენიშნეს, როგორ ამოვარდა ჯერ წყნარი ბრიზი, შემდგომ კი გრივალმა დაჰქროლა და ანძები დაამტვრია... კაპიტანი ამინდის ასეთ გაუარესებას არ ელოდა და საყვივლთაო მხიარულებით დაბნეულმა, დაუფიქრებლად ბრძანა, ლუზა ამოეღოთ და „ბეკფორდი“ ზღვაში გაეყვანათ, მაგრამ ერთ მილზეც არ გასცილობდნენ დრეიფის ზონას, ქარიშხალმა და დინებამ ხომალდი კუნძულისაკენ რომ გააქანეს და სანაპირო კლდეებს შეაჯახეს...

მეორე დღეს აქ სათევზაოდ გამოსულმა ესკიმოსებმა მარტო გემის ნამუსრევი და მლაშე წყალზე მოტივტივე გვაგებილი ნახეს; მკვდრებს სახეები არ უჩანდათ, რაკილა ნიღბებით ჰქონდათ დაფარული... მეთევზეებმა მიცვალებულები ნაპირზე გამოიტანეს და თეთრი ხალხის წესით დაკრძალეს, როგორც ეს ქრისტიან მისიონერს ესწავლებინა, ნავით რომ ესტუმრებოდა ხოლმე მათ ისლანდიიდან; დალუპული ხომალდის ქონება ესკიმოსებმა პატიოსნად გაიყვეს, როგორც ოკეანის ფსკერზე მობინადრე დიდი სულის, არნაკუაგ-საკის საჩუქარი, ვინაც ზღვის ცხოველებსა და ვეშაპებს უგზავნიდა მათ... კამზოლიანი მსახიობის ნიღბი ტომის შამანს ერგო, რაკილა ესკიმოსებმა ის თეთრი ხალხის ჯადოქრულ ამულეტად მიიჩნიეს, რომლის მეშვეობითაც უცხოელები თავიანთი ნინაპრების სულელებს უკავშირდებოდნენ...

შამანმა ნილაზი წაიღო და ორი კვირით უკაცრიელ ალაგას გადაიხვეწა, რათა თეთრი ხალხის მაგიის საიდუმლო შეეცნო... ტომში მობრუნებულმა, ისე რომ არავის დალაპარაკებია, მან შიშველი ხელით მოაღწრო თავისი საცოლე, რომელიც ყვავილებს აგროვებდა ზღვის სანაპიროზე, მერე უახლეს კარავში შეიპარა და მახვილით განგმირა ბიძამისი, ვისზეც ქვრივი დედამისი კანონიერად იყო გათხოვილი... თანატომელებთან ხანმოკლე შეტაკებისა შამანი თავისივე მახვილით დაიღუპა და ესკიმოსებმა ის კლდის ნაპრალებში დამარხეს, მანამდე კი, ადათის შესაბამისად, მას ძველი სამოსი გახადეს და ნაკუნ-ნაკუნ დაფლითეს, რათა საიქიოს ძლიერ სულს — ტორნა-სუქს, მოკლულის ტალავარით არ ესარგებლა და უფრო არ გაძლიერებულიყო, თუმცა ვერავინ მიეკარა მიცვალებულის სახეზე შეზრდილ ნილაზს, რომლის ორი ჭრილიდან, როგორც სხვა სამყაროში შემავალი ნასვრეტებიდან, გაყინული გუგები ჩანდა...



ნანა ეხვია

„ღმერთთან არ დაგეკარგებათ.“
მათხოვრის სიტყვები

მარადიულზე ფიქრით აივსეთ
და ველარაფერს წაგართმევთ
ამქვეყნიური აურზაური.
მარადიულზე ფიქრით აივსეთ
და ყველა ტკივილს დაედება
შეგების სალბუნი.
მარადიულზე ფიქრით აივსეთ –
გიმფარველებენ უფლის შრომანნი.
მარადიულზე ფიქრით აივსეთ
და ბარძიმიდან, ჩაუქრობელი,
გადმოსახლდება თქვენში ნათელი.

„უფალო, მიხსენ ჩუენ,
რამეთუ წარვსწყმდებით.“
მთ. 8, 25.

წუთისოფელი ძლიერ წააგავს
ფსკერგაბზარულ და უნიჩხო ნავს,
რომლიდანაც წყლის ამოხაპვას
მთელ შენს ძალისხმევას ანდომებ
და ეს ამაო გულმოდგინება
იმ შემთხვევაში გექცევა მაღლად,
თუ შენი ნავის ვინრო ქიმზე
მ ა ც ხ ო ვ ა რ ს ძ ი ნ ა ვ ს.

არ ვიცი, სხვები როგორს მხედავენ,
მაგრამ მე მხოლოდ იმ ფიქრით დავალ,
რომ ღვთის ნატერფალ მიწას ვამძიმებ.

ისე ულონოდ ვეცემი ზოგჯერ,
როგორც ფოთოლი სველ ქვაფენილზე,
მაგრამ შენ ჩუამდ მაყენებ ფეხზე,
რომ გამამრთელო ისევ, ხელახლა
და გამართულმა ამოგხედო მაღლიერებით.

შენი ფრთოვანი სივრცეების
უსასრულო და უტკბილეს ნათელს
დააწინდვინე ჩემი მზერა
და მწარე ბინდის ყველა ნესტარი
ცრემლიან ლოცვით ამომარიდე.

ჩვენი საზომით –
გონებასუსტი,
ღვთიური ნებით –
გონებადაცული
იჯდა პატარა სკვერში
ქოლგით ხელში
და საკენკს უყრიდა
ბელურა ჩიტებს.

მხოლოდ უფალი განკარგავს სწორად
ჩვენთვის ბოძებულ სიცოცხლის წამებს
და წვალეებით სავსე ხომალდსაც
ის ჩამოტვირთავს ნავთსაყუდელში.

ამაოდ გვგონია, რომ ჩვენი შფოთვის
პირველმიზეზი
მოუწყობელი გარესამყაროა,
სინამდვილეში, მიზეზი ჩვენ ვართ –
სულში ვერ ვიშენებთ ქვიტკირის საყდარს,
რომ დავემკვიდროთ მის სიმშვიდეში
უდრტინეველნი და შევიცნოთ ღმერთი
სწორუპოვარი მისი წესრიგით.

ქარებს ავზნიანს,
დილას ავდრიანს,
ლამეს დარდიანს
ისეთი შევებით გამომარიდე,
რომ არ მჭირდება
დროის აღწუსება.

უფალო, მე შენს დანახვამდე
არავინ მითხრა: „წუ გეშინია,
მოვეწვიმები მე შენს ხრიოკებს,
გადავიდინე დაგეშილ აფთრებს
და ბენვის ხიდებს გაგიოლებ!“
უფალო, შენი კალთის მთხვევამდე
არავინ მითხრა: „წუ გეშინია,
ჩავაქრობ მე შენს აბეზარ ხანძრებს
და არეული მეტაფორების
დავწმინდავ აფრებს!“

ლით, რომლის სახელწოდებაა „ფრენა,
ანუ პასუხები ბეგბედერს“.

— ერთი შეხედვით, ფრედერიკ ბეგბე-
დერი პროზაიკოსებს შორის ყველაზე
პროზაული ავტორია. რაც უნდა მეოცნებე
ან სენტიმენტალური იყო, მისი ტექსტები
„შეგაჯანჯლარებს“, შუაგულ რეალობაში
ამოგაყოფინებს თავს. თუმცა გასაოცარ-
ია, „ექსტაზმა“ ავტორის პოეტური ბუნება
როგორ გამოაჩინა. მის კითხვებში იმდენი
მოულოდნელი პოეზიაა! მაგალითად:
„გული გწყდება, საფრენ ბილიკს რომ წყ-
დებიან თვითმფრინავები?“ ან „რა უნდა
ვიფიქრო ამ მანანალეებზე, პლასტმასის
იასამნისფერ სკამებზე რომ ხვრინავენ?
რისი თქმა უნდათ? რომ ვასაქცევი აღარ-
სადაა?“. მითხარით, შეიძლება ეს კითხვ-
ები გულგრილად და უპასუხოდ დატოვო?
მეტიც — ისინი პასუხად არა პროზას,
არამედ სწორედ პოეზიას ითხოვენ. ჩემს
ლექსებში ხან ვედავები ავტორს, ხან ვეთ-
ანხმები, უფრო ხშირად კი სხვადასხვა ამ-
ბავს ვიგონებ. მაგალითად, ერთ-ერთმა
კითხვამ მანანალეების ისტორია წარმო-
მადგინა და განმაცდევინა, მეორემ —
ბორტგამცილებლის ერთი შეხედვით საინ-
ტერესო და აუტანლად მოსაწყენი ცხ-
ოვრება დამიხატა. ამ კითხვების საიდუმ-
ლო ისაა, რომ სრულიად მოულოდნელ
ფანტაზიას გვიხსნის. ხოლო, როგორც ჰე-
გელი ამბობდა, ფანტაზია ამორებს ხელო-
ვანს სინამდვილისგან, მაგრამ ამით უფრო
ღრმად იჭრება მის არსში და ჭეშმარიტე-
ბასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახ-

ით წარმოგვიდგენს სინამდვილეს.
იმ კრებულით ჩვენი „ურთიერთობა“ არ
დასრულებულა. სოციალური ქსელის სა-
შუალებით სხვებსაც შევთავაზებ, ეპასუხათ
ფრანგი მწერლისთვის. უამრავი ავტორი
გამოეხმაურა ამ შეთავაზებას. ისინი სხვა-
დასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ.
ზოგიერთმა მათგანმა პირველად დაწერა
ლექსი. ეს, რა თქმა უნდა, ბეგბედერის დამ-
სახურება იყო. ჩემს მეგობრებთან ერთად
გამოვაცხადე კონკურსი საუკეთესო პა-
სუხებზე. ჩემთან ერთად ჟიურის წევრები
იყვნენ თეონა დოლენჯაშვილი, რატი ამა-
ლობელი და პაატა შამუგია. ხუთ თვეში
ასამდე ლექსი-პასუხი დაგროვდა,
პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ოფისის
მშვენიერ ეზოში გაიმართა სხვადასხვა
ნომინაციაში გამარჯვებულთა დაჯილ-
დოვება. გამოვლინდა გრან პრის მფლო-
ბელიც — პოეტი შალვა ბაკურაძე, რომელ-
საც გენერალურმა სპონსორმა, „კაფელის
სახლმა“ ფულადი პრემია გადასცა. ძალიან
სახალისო და საინტერესო პროექტი იყო
და, რაც მთავარია, მოვახერხეთ, გამარ-
ჯვებული კონკურსანტების 19 ლექსი გა-
მომცემლობა „ინტელექტს“ კრებულად
გამოეცა.
— **საინტერესო ხერხია წიგნის პოპუ-
ლარიზაციისთვისაც.**
— წელს გადავწყვიტე, ქართველი მწ-
ერლისთვის — აკა მორჩილაძისთვის „გვე-
პასუხა“. პირველად ეს იდეა ჩემს სტუდენტ-
ებს, „სეუს“ მომავალ ჟურნალისტებს გა-
ვანდე, რასაც დიდი ინტერესით გამოეხ-

მაურნენ. ახლიდან ჩაუხსდნენ აკას რო-
მანებს. პროცესში მეც მათთან ერთად
ჩავები, ჩემი მეგობრებიც შემოგვიერთდ-
ნენ. სხვადასხვა ნაწარმოებში დასმული
უამრავი შეკითხვიდან ყველაზე პოეტური
კითხვები შევარჩიეთ და გამოვაცხადეთ
კონკურსი — „გაეცი პასუხი აკა მორ-
ჩილაძეს“. ამავე სახელწოდების გვერდი
ფეისბუქზეც შევქმენით. ნებისმიერ მსურ-
ველს შეუძლია, გაეცნოს კითხვებს და თავი-
სი ლექსი-პასუხები შემოგვთავაზოს. უკვე
ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული
პროექტში. დაჯილდოვება ამჯერად „კაფ-
ელის სახლის“ ეზოში გაიმართება, პროექ-
ტის გენერალური სპონსორი კი მიკროსა-
ფინანსო კომპანია „სითი კრედიტი“ იქნე-
ბა. ვფიქრობ, ეს თავად მწერლისთვისაც
სასიამოვნო სიურპრიზი გახდება.
— **გარდა მხატვრული ტექსტისა,
კიდევ რა მოქმედებს ხოლმე თქვენზე,
როგორც პოეტზე, რა გიბიძგებთ ლექ-
სისკენ?**
— ელემენტარული რამ შეიძლება იყოს
ინსპირატორი. მაგალითად, ერთმანეთთან
მოსაუბრე ორი ადამიანი, რომელთა ხმა
არც კი გესმის, ან ვილაციისგან მოსმენი-
ლი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი.
თუმცა, ყველაზე ხშირად მაინც მაშინ მენ-
ერება, როდესაც საკუთარ თავთან მარტო
ვრჩები. ეს არის ის დრო, რომელსაც, ძა-
ლაუნებურად, შენს საკუთარ ოჯახს,
შვილებს, მეგობრებს, სტუდენტებს, სამსახ-
ურს და ხშირად საყვარელ საქმესაც ართ-
მევ, პარავ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ხელ-
იდან გლეჯ. ასეთ დროს ხშირად გეუფლე-

ბა ხოლმე დანაშაულის განცდა, მაგრამ
ისიც იცი, რომ სხვაგვარად არ შეგიძლია.
არც თუ დიდი ხნის წინ საბერძნეთში
ვიყავი. იქ ქართული კულტურის ცენტრ
„კავკასიაში“ წმინდა ექვთიმე მთაწმინდე-
ლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა
გავხსენით, ჩვენს ემიგრანტებს წიგნები
რამდენიმე გამომცემლობამ და
ცალკეულმა ავტორებმა უსახსოვრეს. ათ-
წინში ორი კვირა დავრჩი, იქაურ
ქართველებს ვხვდებოდი. მათგან ისეთი ის-
ტორიები მოვისმინე მიტოვებულ შვილე-
ბზე, დამახინჯებულ ფსიქიკაზე, მონატრე-
ბულ ან დანგრეულ ოჯახებზე, შეცვლილ
ცხოვრებაზე, ისეთი ტკივილის თანაზიარი
გავხდი, რომ უკან დაბრუნებული ადგილს
ვერ ვპოულობდი, ვიდრე ჩემი შთაბეჭდ-
ილება და განცდები ლექსად არ გადაიქ-
ცა. ლექსის წერისას მე ვიყავი ყველა ის
დედა, რომელმაც შვილი იძულებით მია-
ტოვა და ყველა ის შვილი, რომელსაც თეთ-
რად დასთენებია დედის მოლოდინში. „დი-
ალოგი დედასთან“ აერთიანებს ყველა ამ-
ბავს, რაც იქიდან გამოვიყოლე. თუმცა, ეს
ტექსტი დღევანდელი ქართული ემიგრა-
ციის დიდი ტკივილის მკრთალი ანარეკ-
ლია მხოლოდ.
ზოგადად, ნებისმიერი ლექსი — არ
აქვს მნიშვნელობა, რა დონისაა იგი — ავ-
ტორს საკუთარ თავში აქვს განცდილი,
თავის სულსა და სხეულში გამოტარებუ-
ლი, სხვანაირად ლექსი ვერ დაინერება.

შემაჯავებელი

ძვირფასი ხელით გამოგზავნილო წამო, წამ-წუთო, როგორ მიყვარდა იმ არსებით მთელი სანუთო.

ძილის ფერგამკრთალ გზას შეურიე თეთრი ფითრები. მზე საიდუმლო სერობისაც გადაწვერილა...

შენ მომისწარი, შეაკავე დაქცევის პირზე ჩემი კლესიდრა - ტრაგიკული კლესიდრა მარტომ ზეცის ბალებში უხმოდ შემყურე წყეული ჰიდრის ზეცის ბალებში.

მეგობრები კადრები

მათ, ვინც პატივი არ მიაგო და შეჭამა ჰელიოსის ხარები, მან შეუჩერა დაბრუნების დღე.

რადგანაც დაგვრჩა ხმელ-ხმელა პური უგუნურების ნიშანი სრული სანაპიროზე გადასასლული ჰელიოსის მშვიდი ნახირი

მათგან ყველა ციხე-სიმაგრე ყოველ მათგანში გმირად ივარგებ ორმოცი წელი ბრძოლას ივალეზ ცის კაბადონზე ვარსკვლავად საქცევს

დამშეულებმა მინაზე ვმუსრეთ კარგად ვჭამეთ და კუჭები ვუვსეთ გულუბრყვილობას ახლა რომ ვუმზერთ დანაყრებულნი და ჩაყრილნი მინის ხნარცვებში.

კომენტარები

ბნელ ვერანდაზე გულისტქმის ჩქამმა გადაიფრინა, წამივით ჩქარმა ორი სუნთქვიდან გამსხლტარმა ქარმა სამეტოქეო აღსარებისამ

ხმას არ შეეძლო გამოთქმა ახსნა ბაგე შეცდომის ზუზუნით გახმა სიტყვები დაჭკნენ. სხეულს კი ახლა შეეძლო ჩვენი დალოცვა, ღმერთო

სახლში ყმუოდა სიბნელის ხვადი ცისკრის ვარსკვლავის შუქმფენი ხაზით შენი გრძელი თმის მაგნიტა სათებს ახსენდებოდა შორეული ანგელოზები

დაბლა დავარდნილ მარაოს ნიავს ძირს დაცვენილი ბეჭდების წკრიალს მავედრებელი ფიქრების რიალს მოჰყვა ოთხთავის ალთქმათა ჟინი.

შენ უცხო სულო, ლამაზის სახით, მიკვირს ამივსე დაცლილი სახლი შენ მშვენიერო, ყველგან რომ მახლდი რა უაზროა ეს ღამე ვხედავ

თვლების შროშნებს, ყვავილებს ნაღვლის ეცადე ისევ ესტუმრო დაღლილს ამ მდუმარების უსახო ნაპირს

ჩემი სიჩუმის მჭრელო პირო, ჩემო ქიმერავ.

მითისტორია X

ჩვენი მხარე მთებითაა ჩაკეტილი სახურავად დღემუდამ აქვს დაბალი ზეცა. არ გაგვანია მდინარეები არც ჭები გვაქვს არც წყაროები გვაქვს მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი წყალსატევები, ისიც

დაცლილი, თუმცა ხმებს კი გამოსცემენ და მუხლსაც ვუყრით დიდი პატივით. ექო დახშული, დაგუბული, ყრუ, ცარიელი, როგორც ჩვენი

მარტოობა როგორც ჩვენი სიყვარულია, როგორც ჩვენი სხეულებია. ჩვენ გვეჩვენება უცნაურად, რომ ოდესღაც შევძელით მაინც

აშენება ჩვენი სახლების, ქოხმახების, თუნდაც ბაკების. შევძელით ჩვენი ქორწინებებიც. გვირგვინები და უთვლო ბეჭდები

დღეს ამოუხსნელ გამოცანებად ქცეულები ჩვენი სულისთვის. ან შეილები როგორ გაგვიჩვენენ და მოძლიერდენ?

გიორგოს სეფერისი



ჩვენი მხარე ჩაკეტილია. მას კეტავენ სიმბლეგადები. ნავსადგურებში კვირაობით, რომ ჩამოვდივართ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ვხედავთ, როგორ ნათდებიან მზის დაისში დამტვრეული ხეები იმ სხეულების დაუსრულებელი მოგზაურობებიდან.

მითისტორია XV

რა ემართება ჩრდილიან ჭადას პლინიუს უმცროსი

ეს რა ხესავით შეგვბურა ძილმა მწვანე ფოთლებით, ამოსუნთქე, შენც ხესავით, მშვიდ ათინათში, მჭვირვალ წყაროში შენს სახებას ჩავყურებ ახლა დახუჭული ქუთუთოები და

წამწამები წყალზე ტვიფრავდნენ. რბილ ბალახებზე ჩემმა თითებმა იპოვეს შენი წამით შევეხე მაჯისცემაც მოვსინჯე წამით სხვაგან ვიგრძენი შენი გულის დარდი, ტკივილი.

ჭადრის ქვეშ, წყალთან, დაფნების ტევრთან ძილს გადაჰყავდი, განანევრებდა და გაფენდა ჩემს გარშემო, ჩემს შორიახლოს, ისე რომ შენი სრულად შეხებაც კი ვერ შევძელი შეერთებოდი შენსავე სიჩუმეს შენ ჩრდილს ვხედავდი, ხან იზრდებოდა, ხანაც პირიქით იკარგებოდა სხვა ჩრდილებში, სხვა სამყაროში გტოვებდა და ეჭირე კიდევ.

სიცოცხლე მოგცეს საცხოვრებლად, კიდევ ვიცხოვრეთ. შეიბრალებ როგორმე სხვები, მოთმინებით მომლოდინენი დაკარგულები შავ დაფნებში, ჭადრების ჩრდილში და იმათთან ერთი ერთზე მოსაუბრენიც, წყალსატევებში, ჭებში მარტონი ხმის წრებში ჩაძირულები

შეიბრალებ ახლობელი, მოზარე შენი ოფლის და გასაჭირის რომ ჩარღმავდა მზის სინათლეში ყორანივით მარმარილოთა მიღმა ჩაეშვა უიმედოდ, რომ ოდესმე გაიხარებდა საფასურით, ჩვენგან მინვდილით.

მოგვეცი ძილის გარეთ სიმშვიდე.

მითისტორია XVII

ასტიანაქსი

როცა ნახვიდე, გაიყოლე თან ის პატარა, რომელმაც შეძლო და დაინახა ერთხელ სინათლე ჭადრის ფოთლებში

საყვირებს რომ აყრუებდნენ და იარაღის იდგა ლაპლაპი გაოფლილი ცხენები კი კისრებს ხრიდნენ, რათა როგორმე შეხებოდა მათი სველი ნესტოები წყლის მწვანე ჭავლებს.

სავსე მშობლების ნაოჭებით ზეთისხილის ბალები ირგლივ კლდეები სავსე — მშობლების ცოდნით მინა სავსე ღვიძლი ძმის ჯერაც ცოცხალი სისხლით იყო ძლიერი სიხარული, დიდებული წყობა სულთათვის, თავიანთი ლოცვები რომ იცოდნენ მტკიცედ.

ახლა, როცა მიდიხარ და თენდება ის დღე ანგარიშის გასწორებისა, როცა წინასწარ არავინ იცის ვის მოკლავს და რით დაასრულებს, ნაიყვანე თან ის პატარა, რომელმაც ერთხელ

თვალი მოკრა და დაინახა დიდი სინათლე ჭადრის ფოთლებში და ასწავლე იმ ბავშვს ხეები.

მითისტორია XXII

ამდენმა რამემ ჩაიარა ჩვენ თვალწინ უკვე, ჩვენს თვალებს იქნებ არაფერიც არ დაუნახავთ, მაგრამ უკან, იქ

მეხსიერება თეთრ აფრასავით რომ მიგვაქროლებს, ერთ ღამეს ბაკში

უცნაური სიზმარი ვნახეთ, შენს სიზმრებზე უცნაური, ჩაივლიან და იკარგებიან წინაკის ბუჩქის უძრავ ფოთლებში.

ჩვენ ბედს თითქოს კარგადაც ვიცნობთ ერთ ადგილზე ვტრიალებდით დამსხვრეულ ქვებში სამი ან ექვსი

ათასი წელი ნანგრევებშილა ვეძებთ შენობებს, სავარაუდოდ ჩვენი სახლი რომ შეიძლება ყოფილიყო, ვცდილობთ როგორმე აღვიდგინოთ თარიღები და საგმირო საქმეები შევძლებთ?

რადგან დავებით და დავიფანტეთ და შევებრძოლეთ სირთულეებს არარსებულებს, როგორც ამბობდნენ

დაკარგულებმა კვლავ ვიპოვეთ გზა სავსე ბრმათა ლეგიონებით ვეფლობით ასე ჭაობებსა და მართონის ტორფიან ტბაში შევძლებთ ნეტავი ჩვეულებრივად რომ დავიხოცოთ?

ანაღუმი

ვარსკვლავებს უჭირავთ კუთვნილი სამყარო ზღვა მისარიალებს ხომალდის ჩირაღდნებს სიბნელის რგოლიდან შენ, სულო, გამქრალ გამოდი, და თავი ღმერთის წინ იმართლე.

ზღვა მისარიალებს ხომალდის ჩირაღდნებს სიბნელე ამ ღამით რა უცხო მორჩს იღებს გამოდი და თავი ღმერთის წინ იმართლე შენ სულო, ხომ იცი რა კანონს მორჩილებ

სიბნელე ამ ღამით რა უცხო მორჩს იღებს შავ აბრეშუმებში სხივები ჩამქრალა შენ სულო, ხომ იცი რა კანონს მორჩილებ რა გრჩება, რას ტოვებს სიცოცხლის ნაქარი

შავ აბრეშუმებში სხივები ჩამქრალა იმ დროის დაირის ხმა აღწევს მიმწუხრებს რა გრჩება, რას ტოვებს სიცოცხლის ნაქარი შემთხვევით თუ მუნჯი ქვემეხი იქუხებს

იმ დროის დაირის ხმა აღწევს მიმწუხრებს ლითონის სამსჭვალი ტკივილის ნაპირზე შემთხვევით თუ მუნჯი ქვემეხი იქუხებს ერთ ცრემლსაც ნუ ელი სიზმარშიც საპინედ

ლითონის სამსჭვალი ტკივილის ნაპირზე მალღდება ეს წამი, საჭრისს ჰგავს ლიობის ერთ ცრემლსაც ნუ ელი სიზმარშიც საპინედ ხალხს უჭერს გველივით, უმატერიობა.

მალღდება ეს წამი, საჭრისს ჰგავს ლიობის რის ფასად დადგება სიმშვიდე ნეტარი ხალხს უჭერს გველივით უმატერიობა ვინღაა ცაში რომ ანგელოზს შეჰხარის?

რის ფასად დადგება სიმშვიდე ნეტარი კაცს თავის ჯავრი სჭამს, სახლი ჰგავს მალაროს ვინღაა ცაში რომ ანგელოზს შეჰხარის, ვარსკვლავებს უჭირავთ კუთვნილი სამყარო.

კვირა

ორი მძიმე ცხენი და ეტლი, მსუბუქად მოსიარულე ეს ან რაიმე სხვა, ჩემს ფანჯრებთან გზაზე ხმაური.

ცოტა ხანში დაღამდება; ვხედავ მიყურებს ერთი ფრონტონი, სავსე კიდურებმოკვეთილი ქანდაკებებით.

რადგან მძიმეა ქანდაკებები? წვეთი სისხლი მირჩევნია ერთ ჭიქა მელანს.

თარგმნის მარიამ ნიკლაშვილი და მაია კაკაშვილი

ქართველი მკითხველისთვის, არაბული და სპარსულენოვანი ლიტერატურის გამოკლებით, პრაქტიკულად უცნობია თანამედროვე აზიური პოეზია. არაბული, ჩინური, მონღოლური, კორეული, იორდანული, ლიბიური, მალაიზიური, ვიეტნამური და სხვა აზიური კულტურებში დღესდღეობით იქმნება ლიტერატურა, რომელიც ინტენსიურად ითარგმნება და გამოიცემა ევროპულ ენებზე. ჰადაა სენდოო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე მონღოლი პოეტი. მისი შემოქმედება კარგად ირეკლავს თანამედროვე აზიური პოეზიის ორ ნიშანდობლივ ტენდენციას: საკუთარი მითოლოგიური, ფოლკლორული ძირებისკენ მიბრუნებას და ორნამენტებისგან თავისუფალი, გარეგნულად უბრალო და თითქმის მინიმალისტური პოეტური ხერხებით სათქმელის გადმოცემისკენ სწრაფვას. ორივე ეს ნიშანი თავდაცვითი რეაქციაა გლობალიზმის ფილოსოფიაზე და უსახობაზე, რომელიც ძლიერთა პოლიტიკის დანამატად გადაქცევას უქადის მსოფლიოს კულტურულ მრავალფეროვნებას. ჰადაა სენდოო არა მხოლოდ პოეტი და მეცნიერია, არამედ – ულანბატორში მსოფლიო პოეზიის ყოველწლიური ალმანახის დამაარსებელი და რედაქტორიც. აღსანიშნავია, რომ ამ ალმანახში სხვადასხვა დროს უკვე გამოქვეყნდა ქართველი ავტორების მიხეილ გოგუაძის, მარიამ ნიკლაურის, დალილა ბედიანიძის და დათო ბარბაქაძის ლექსები. უნდა ითქვას, რომ სენდოოს ინტერკულტურული აქტივობაც მისი პოეტური შემოქმედების გავრცელება და ორგანიზაციული ნაწილია, რასაც არც თუ იხე ხშირად ვხვდებით თანამედროვე პოეტებს შორის.



ჰადაა სენდოო

წიგნის მთავარი და მამაჩემი

ერთხელ, ღამის
სიბნელეში,
მამაჩემის სახე აინთო.

მოკიდებული სიგარეტი
უღვიოდა ხელში მამაჩემს,
მოძრაობდა ნელა,
როგორც წითელი მთვარე.

გუგულის სიმღერა

სხივებში იწვის ჩამავალი მზე
ლერნამზე კი ჩამომჯდარა გუგული და –
„გუ-გუ, გუ-გუ“ – ასე ირნევა
ლოყაზე ჩემი სიყვარულის მოგონება მეალერსება
და ჩამავალ მზედ ანთებული ძახილი მათრობს
თითქოს პირველად ჩამესმოდეს
„გუ-გუ, გუ-გუ“ – ნაზი ამბორი –
მისი ეს ბოლო დაძახილი
ჩემს ოქროსფერ ქალაქში ახლა

გობი

გობი როცა გამოჩნდება
ჩამიდგება სინათლე და სიმშვიდე სულში
თქარათქურით ჩამირბენენ გარეული ვირები
და ნიამორები

კლდე კი სარკედ გადაიქცევა
უმალ ვივინყებ ყველა დროს და
იმ ყველაფერს რაც დრო-ჟამმა დაინანია
ყველა ტკივილი უჩინარდება
ხოლო როცა ვუბრუნდები სიკვდილის ქალაქს
მენატრება გობის უდაბნო
სოროში აწრიპინებული ტრამალის თავი
წითელი აქლემი –
მხურვალე მზეზე გარუჯული
გობი-გოგონა

ნისლი

ჯანლი წვება დილაობით
მთის ბეჭობებზე
ნისლში ეხვევა საოცრებათა ეს ქვეყანა –
დაბინდული დედამიწის მშვიდი სახე
შეიძლება ზმანება იყოს
იქნებ მახეა უკიდევანო

ცაცხლი

ლექსი დანერილია აშშ-ში

შენ ამ მთა-გორის უძველესი სიმღერა ხარ
არწივის ცეკვა და ქურუმის დაფდაფები –
ფიქრი ხარ, სული,
ტკივილი ხარ გადამწვარ ტყეთა...
მომთაბარე ცხენები კი თქარათქურით განვლიან ღამეს
და ლურჯ ჭორომებს

დაპარგული ვარ

ჩადის ქარვისფერი მზე
მე დავიკარგე ამ ზაფხულში
მე დავიკარგე ჭვავის სურნელით სავსე ქარში
მე დავიკარგე იენისის სუსხში და ყინვაში
მე დავიკარგე ნუხელ ღამით აშლილ ქვიშებში
მე დავიკარგე ოქროს ნალკოტში
მე დავიკარგე კუბლა ხანის ღამის ხილვებში
მე დავიკარგე ჩემთვის ნაცნობ და უცნობ ქალაქში
მე დავიკარგე მეტროს გვირაბში
მე დავიკარგე ეს-ესაა გამოცემულ ნიგნში
მე დავიკარგე რუსულ ასოებში
მხარი მექცა უნდა დავბრუნდე
მე ვარ დაკარგული ქარი
მე ვარ დაკარგული შენ
მე ვარ დაკარგული მე

შანდუს სევდიანი სიმღერა

I. კრიალა სარკე ნანგრევებში

შანდუ, შენ მიხმობ ზეცისაკენ
მე კი ადამიანური ცივილიზაციის ნანგრევებზე ვდგავარ
და შევნატრი შენს ნათელ ტკივილს
მრუდე ქვის კაცებთან ერთად
სიზმრებში უკვე მერამდენედ
ვუბრუნდები შანდუ-მდინარეს
ოქროს ლოტოსის სურნელს აფრქვევს
და გარს უვლის ძველისძველ აბოს*
ცხენის ზურგს კი უკვე სამი ლოდი ამძიმებს
მინდა ტრამალზე ნადირთა ჯოგი
და ფრინველთა გუნდი გამოჩნდეს,
მეტი და მეტი

შანდუ, შენ მიხმობ მინისაკენ,
მე კი მწვანე იმპერიის ნანგრევებზე ვდგავარ
და ნატეხი ვარ მონღოლეთის, რომელიც მივატოვე
მე ვარ გოჯი მწვანე მინის, რომელიც დავივინყე
მე ვარ ბრინჯაოს სარკე,
რომელიც ნანგრევებიდან ამოვიღე

ექვსი თვე და ასხუთი წელია ჩემი სისხლის გავლით
ჩინგის ყაენის ორი დიდებული ცხენი მიჰქრის
შემოდგომის წვიმასავით ცივი და მჭმუნვარე

II. დაბრუნება და აღმოდებული ყვავილები

მშობლიური მდინარის ტალღებში მივცურავ
უკან მრჩება მწვანე მთები და ყარაყუმის მდინარეები
მასხენდება ელუი ჩუცაი, დიდწვერა გოლიათი
და ახალგაზრდა მარკო პოლო
ცხენებს ოქროს შანდუსკენ რომ მიაჭენებდა
თუმცა შანდუ ჩემს სიზმრებში უკვე დაინგრა
სარეველამ გადაფარა დედაქალაქი
და იმპერიის შორეული ქალაქები
თეთრ-ლურჯი ფაიფური,
ჰაგპას დამწერლობით დაფარული რელიეფები
ნატეხების გროვებად იქცა
ყველაფერი დაინგრა
დაინგრა ასრვა მშვენიერი თეთრი კოშკიც

შანდუს მშვიდი წყლები, ცხენის რძის გემო
სული მთვარის მეშვიდე თვის

მეშვიდე დღის დღესასწაულის
წითელი ქრიზანთემა შანდუს ტალღებში
მდინარე სავსეა ჩემგან დაღეული

ცხენის რძის სურნელით
ო, შანდუ, ჩემი წინაპრების სამყოფელო
მოვდივარ ჩემი დამსხვრეული სიზმრებით და
იმაზე უფრო გულშიმწვდომი ჩემი ლექსებით
ვიდრე პოეტის და მხედართმთავრის სა-დუ-ლას ლექსებით
თერთმეტი ხანი გარდავიდა, ქალაქი დარჩა
გაზაფხულზე შანდუს წყალს ვენაფები
ძველთაძველი გზით მივუყვები შანდუს ნაპირს
დროდადრო უკან ვიხედები – თვალს შევავლებ
რუხი ცის კიდეს
ხოლო ბინდბუნდს ოქროს ლოტოსის სურნელი ავსებს

III. სიზმრები და ფრაგმენტები

მონღოლეთის უკიდევანო ზეგანს მივუყვები
თვალწინ შანდუს სილუეტი მიდგას
თეთრი სოკოებით და მონღოლური ქონდრის ბალახით
დაფარული მდიდარი საძოვრები
მონღოლური ირმები ჯგუფ-ჯგუფად გარბიან
ტრამალზე აქა-იქ
შენ ამ მინის მთავარი ქალაქი იყავ
მარმარილოს დიდებული სასახლეები,
ჩუქურთმები და მინაქარი
ერთმანეთში ირეკელებოდა, მწვანედ, ლურჯად, ყვითლად

ისევ შანდუს ნაპირს მივუყვები
ხშირ ბალახში ვპოულობ ბრინჯაოსგან
ნაკეთ ჭადრაკის ფიგურებს
მინაში ჩაფლული სპილენძის მონეტებით
თიხის ჭურჭელს საუკუნეების სურნელი მოაქვს
შემიძლია ზუსტად აღვწერო
უძველესი მეტროპოლიის გეგმა
გითხრათ სად იდგა ტაძარი სად იყო სასტუმრო ბაზარი
დავდივარ უძველეს ქუჩებში ჩავუვლი კედლებს
სალამოს ბინდში იძირება ყველაფერი
ო, შანდუ, შენი მკლავებისკენ ავჩქარებულვარ

IV. მთვარე და ჩემი ხსოვნა

ბავშვი ვარ, რომელმაც არ დატოვა თავისი ბალი
მხედრის ჩექმა ვარ, შენგან ნაპოვნი
ღრუბლის ნაფლეთები ვარ, შენგან შეგროვილი
მდინარეში მძინარე თევზი ვარ
ყვავილის ფურცელი ვარ,
ზეცის ბილიკიდან ჩამოვარდნილი

ხმალი ვარ, რომელმაც ბნელი ვერ გაჰკვეთა
ხსოვნა ვარ ჩინეთის კედლიდან აფრენილი
ძიანის გადასასვლელიდან ჩრდილოეთით
და სამხრეთ-დასავლეთით გაფრენილი
შინისაკენ მიმავალი
ტურისტებს ვერ ვხედავ

თარგმანი მაია გომოლაქაძე

*აბოო — ქვისა და ხისგან დამზადებული ნიშნული, რომელსაც ძველ მონღოლეთში მთის მწვერვალზე აღმართავდნენ ხოლმე ბუდისტური და შამანური რიტუალების აღსასრულებლად.



ბამომცემლობა „დიოგენე“ დავით გაბუნას პიესების კრებული წარუდგინა საზოგადოებას. წიგნში შესულია ოთხი პიესა: „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება“, „Holland Holland“, „ლაგინიას ყურები“ და „თურქი ბიჭის, სეფიდუხ ნესინის ცხოვრება და აღსასრული“. მათგან ერთ-ერთი, როგორც წლის საუკეთესო ახალი პიესა, დაჯილდოვებულია დამოუკიდებელ-



ლი თეატრალური პრემიით „დურუჯი“, რომელიც საქველმოქმედო ფონდ „ცისკრის“ მიერაა დაწესებული და კომპანია „რედიქსის“ მხარდაჭერით სარგებლობს. გამომცემლობა „დიოგენე“ კი, თავის მხრივ, გამარჯვებული დრამატურგების პიესების კრებულს ბეჭდავს. „დიოგენეს“ დირექტორმა თამარ ლებანიძემ დავით გაბუნა შეაფასა, როგორც უაღრესად საინტერესო მოვლენა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში. ქალბატონმა თამარმა ისაუბრა „დიოგენეს“ და დავით გაბუნას თანამშრომლობაზე სერიაში „ამერიკელები“ და საზოგადოებას შეახსენა მისი, როგორც მთარგმნელის წვლილი თანამედროვე საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმის განვითარების საქმეში. „და კიდევ ერთი, — დასძინა თამარ ლებანიძემ, — ვიცი, რომ თეატრისთვის დათო ძვირფასი ადამიანია, თუმცა კმაყოფილი ვიქნებოდი, როგორც მკითხველი და როგორც გამომცემელი, თუკი ის მეტს იმუშავებდა პროზაში. ვისურვებდი, გაისადამ დროს ერთი პატარა პროზაული კრებული მაინც, თუ რომანი არა, ეჩუქებინოს ქართველი მკითხველისთვის“.

პრეზენტაციის მოდერატორი იყო ხელოვნებათმცოდნე სოფო კილასონია, რომელმაც თქვა: „ამ კრებულში შესულია კარგად წასაკითხი, ურთულესი ოთხი პიესა. ამას უფრო ის ადამიანები მიხვდებიან, თეატრს რომ იცნობენ ან, ზოგადად, დრამატურგია რომ უყვართ. ეს პიესები, ჩემი აზრით, უანერ მიღმაა, რადგან ავტორი, ოთხივე ნაწარმოების შემთხვევაში, ირჩევს კრიტიკულ სიტუაციას, კრიტიკულ გარემოს, რომლის ცენტრშიც ადამიანები არიან, რაც მთავარია, შექმნილი სიტუაცია უკვე ჩავლილი ამბიდან მომდინარეობს — პიესებში ტრაგედია მოქმედების დანყებადმდე მომხდარი, მკითხველიც მიხვდება, რომ ყველაზე ძვირად, დანაშაულებრივი და შემზარავი რამ ნაწარმოების დანყებადმდე მოხდა“. სოფო კილასონიამ, როგორც მკითხველმა, ალბათ უამრავი მკითხველის ინტერესი გამოხატა — და ნაწარმოებების ძირითადი ინტრიგაც ესაა — როგორ იქცევა რიგითი ადამიანი უკიდურესად კრიტიკულ სიტუაციაში, ან არსებობენ კი, ზოგადად, რიგითი ადამიანები?


სოფო კილასონიამ შესანიშნავი მოდერატორობა გასწია, ახალგაზრდა დრამატურგის, მწერლისა და მთარგმნელის საუბარმაც საინტერესო სახე შესძინა პრე-

ერთი წლის შედეგ...

განახლებული მწერალთა სახლი ერთი წლისაა. ამ ხნის განმავლობაში მან ერთ-ერთი გამორჩეული კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ადგილი დაიმკვიდრა საქართველოში. მისი საქმიანობა, პრიორიტეტები ეფუძნება იმ ევროპულ ტრადიციებს, დავით სარაჯიშვილის დროიდან რომ იღებს სათავეს. ამიტომაც ამ სახლს ყოველთვის თანამედროვე, საზოგადოებრივად აქტიური, პროგრესული სახე აქვს და რაც მთავარია, მისი ცხოვრება მდიდარია ლიტერატურით.

გასული ერთი წლის განმავლობაში მწერალთა სახლმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, გაიხსენა ძველი სახელები და მხარი დაუჭირა ახალს, ჩაერთო მიმდინარე ლიტერატურულ თუ სახელოვნებო პროცესებში. საუკუნეზე მეტი ხნის წინ ამ სახლის მასპინძელმა, დავით სარაჯიშვილმა კარი გაუღო ქართველ თუ უცხოელ სტუმარს, საინტერესო ადამიანებს, ახალგაზრდებს. შეიძლება ითქვას, ის კარი ახლაც ღიაა.

გახსნიდან ერთი წლის შემდეგ სულ უფრო მეტ ადამიანს მოუხარია მარაბელზე, „თავის“ სახლისკენ.



ზენტაციას და შეიძლება ითქვას, დრამატურგის, მწერლისა და მკითხველ-მკითხველის ერთიანობაში გადაიზარდა, მითუმეტეს, რომ მსახიობებმა დარბაზში მსხდომთ დათოს ერთ-ერთი პიესიდან ნაწყვეტები წარუდგინეს.

დავით გაბუნას სტუმრებს კომპანია „რედ ფურშემ“ უმასპინძლა.

ბრძელდება პროექტი „მთარგმნელები მწერალთა სახლში“. ამჯერად მარაბელის ცამეტში ხათუნა ცხადაძე მიიწვიეს. „ვარდის სახელისა“ და „მიანია პერიერას“ მთარგმნელი საზოგადოებას დავით გაბუნამ წარუდგინა: „ჩვენ ვცდილობთ, გავმართოთ შეხვედრები საუკეთესო, ღვაწლმოსილ და ყველაზე გამორჩეულ მთარგმნელებთან, რომლებიც დიდ საქმეს აკეთებენ, თუმცა ხშირად რჩებიან ყურადღების მიღმა, არ აქვთ ისეთი დაფასება, როგ-



ორსაც იმსახურებენ. ციკლის — „მთარგმნელები მწერალთა სახლში“ — მიზანია, კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ამ ადამიანების დამსახურება და მოვუსმინოთ მათ. როგორც წესი, მთარგმნელები მწერლებს, მათ შორის კლასიკოს ავტორებს ალაპარაკებენ ქართულ ენაზე და იშვიათად ეძლევათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. მწერალთა სახლი დღეს მიკროფონს უთმობს ხათუნა ცხადაძეს, რომელსაც წარდგინება, ფიქრობ, არ სჭირდება“.

დავით გაბუნამ მთარგმნელს დასაწყისშივე მიმართა რამდენიმე კითხვით. მისი თქმით, ეს „სტანდარტული“ კითხვები იყო. თუმცა სწორედ მათზე პასუხების მო-

სასმენად გაავსო მკითხველმა დარბაზი. ყველას აინტერესებდა, რას ნიშნავს ხათუნა ცხადაძისთვის იყოს მთარგმნელი, როგორ ითარგმნა ქართულად „ვარდის სახელი“, „მიანია პერიერას“ და იტალიური მწერლობის სხვა, გამორჩეული ნიმუშები, როგორ მუშაობს ტექსტებზე, რას თარგმნის ახლა და ასე შემდეგ.

ხათუნა ცხადაძე საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. თავისი გამოცემა მან მოდერატორის სიტყვებზე პასუხით დაიწყო. თქვა, რომ დაფასება ქართველ და, ზოგადად, „პატარა“ ენებზე მთარგმნელებს, არ აკლიათ. ერთი მხრივ, შეიძლება, მთარგმნელის სამუშაო უმადურია, მაგრამ მეორე მხრივ, მისი აზრით, ისეთ განსხვავებულ ენებზე მთარგმნელები, როგორც ქართულია, ყურადღების მიღმა ნამდვილად არ რჩებიან, განსხვავებით იტალიელი, ან სხვა, ევროპელი მთარგმნელებისგან, რომელთაც, ძირითადად, გამომცემელთა და მთარგმნელთა წრეებში იცნობენ.

ხათუნა ცხადაძემ უშუალოდ თარგმანის ხელოვნებაზე საუბარი დაიწყო კორნეი ჩუკოვსკის მხატვრული თარგმანის თეორიით, რომელსაც ფილოლოგიის ფაკულტეტის მხატვრული თარგმანის სპეციალობაზე სწავლისას გადიოდა და აღნიშნა, რომ 1919 წელს ჩუკოვსკის ნაშრომმა „Антифашизм и антифашисты“ და ბოლო პერიოდში გამომცემული იგივე თემატიკის ნაშრომებს შორის არსებითი განსხვავება არ არის. ძველი და თანამედროვე მთარგმნელები, ასევე მწერლებიც, რომელნიც თარგმნიან, პირადი გამოცდილებების საფუძველზე თანხმდებიან იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ზღვარი, რომელიც მთარგმნელმა უნდა დაიცვას ტექსტზე მუშაობისას, მოიტანა ანტონიო ტაბუკის მოსაზრებაც თარგმანის ხელოვნის პარადოქსულობასა და მთარგმნელში ორი თვისების, თავხედობისა და თავმდაბლობის თანაარსებობაზე, გაიხსენა ჯაკომო ლეოპარდის მიერ შემოტანილი „სახე“ მთარგმნელისა, რომელსაც იტალიელმა პოეტმა და თავადაც მთარგმნელმა „კამერა სკურა“, „ზნელი ოთახი“ უწოდა და თარგმანი წარმოადგინა როგორც პროცესის, „კამერაში“ ენობრივი მასალის გავლის, იქ გადააზრება-გადამუშავების შედეგი.

ქალბატონმა ხათუნამ ძალიან საინტერესოდ და ვრცლად ისაუბრა უმბერტო ეკოზე, მწერლის ურთიერთობაზე მთარგმნელებთან, მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე თარგმნილ ტექსტებთან, გაიხსენა „ვარდის სახელის“ ქართულად თარგმნის პროცესი და მიმონერა ავტორთან. „ეკომ ჩაასწორა „ვარდის სახელი“ სწორედ მთარგმნელებისგან მიღებული შენიშვნების საფუძველზე. ის არის ავტორი, რომელიც ძალიან აქტიურად თანამშრომლობს თავის მთარგმნელებთან, განსაკუთრებული მგრძობელობა აქვს უცხო ენებზე გადაღებული ტექსტების მიმართ და კერძოდ საკუთარი ტექსტების თარგმანების მიმართ“.

სალამოზე საუბარი შეეხო, ასევე, იტალიურ სალიტერატურო ენას, რომელიც, ისე როგორც თანამედროვე იტალიური სამეცნიერო ენა, სათავეს იღებს დანტესეული მხატვრული ენიდან, „ღვთაე-

ბრივი კომედიის“ ენიდან. ხათუნა ცხადაძემ მის მიერ თარგმნილ სხვა ავტორებზეც ისაუბრა. თუმცა, ალბათ, ერთი საათი არც იყო საკმარისი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მთარგმნელის მოსასმენად.

ალბათ სიმბოლურია, რომ საიუბილეო დღეებში იმ სახლში, რომელიც აშენების დღიდან არა მხოლოდ არქიტექტურულად, არამედ შინაარსით, სულისკვეთებით, ისტორიით წარმოადგენდა ევროპული შეგნების, ესთეტიკის, აზროვნების მაგალითსა და ევროპული იდეის კერას, გაიმართა ძალზე საინტერესო, ღრმა დატვირთვითა და მნიშვნელობის საუბარი თემაზე „ევროპის იდეა ანტიკურობასა და თანამედროვეობაში“. ამ ლექციით გაგრძელდა ციკლი „საუბრები ლიტერატურაზე“, რომელსაც მწერალთა სახლი დაარსების დღიდან ახორციელებს. მომხსენებელი რისმაგ გორდეზიანი იყო.

ბატონი რისმაგის ლექცია ეხებოდა საკითხს, თუ რამდენად მდგომარეობს ევროპის იდეა, რა წინააღმდეგობები ექმნებოდა მის არსებობას, როგორ იყო „ნაკითხული“ თუ დეკლარირებული იგი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და ვითარებაში სხვადასხვა ხალხებისა თუ სახელმწიფოების მიერ. საუბარი დაიწყო პრობლემით, რომელიც დღევანდელი საქართველოსთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოა, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია მსოფლიოსთვისაც: „არსებობს ევროპის იდეა და ამასთან ერთად არსებობს რუსული იმპერიის იდეა. ის, თუ რამდენად თავსებადი იქნება ეს იდეები, გადწყვეტს ევროპის ბედს. ღმერთმა არ ქნას, თუ დაპირისპირება კრიტიკულ ფაზამდე მივა, ვერავინ იტყვის, როგორ შეიძლება წარიმართოს მოვლენები.“



რა არის ევროპა? ფორმალური კრიტერიუმებით მდგომარეობს საფუძველზე, მასუბი კითხვაზე სხვადასხვა იყო შუა საუკუნეებში, რენესანსის ეპოქაში, მე-20 საუკუნის დასაწყისისა თუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაშიც. 2000 წლის შემდეგ კი, ფაქტობრივად, პირველად მოხდა ჩამოყალიბება იმ მახასიათებლებისა, იმ ღირებულებებისა, რაც მკვლევართა გარკვეულ ნაწილს ევროპულობის ბაზისად მიაჩნია“.

ევროპის, როგორც ტერმინისა თუ ცნების, ასევე მისი შინაარსის მიმართ სხვადასხვა პერიოდში, ისტორიულ ვითარებაში, პოლიტიკურ სივრცეში არსებული მიდგომების განხილვის ფონზე, დაწყებული ანტიკური ხანიდან, რისმაგ გორდეზიანმა ალბათ ყველაზე მართულად პასუხამდე მიიყვანა აუდიტორია — ევროპა ადგილი არ არის, მას ვერცერთი ფორმალური კრიტერიუმით ვერ შემოვფარგლავთ, რადგან ევროპა არის იდეა! ხოლო იდეა, თავისთავად ღირებულებაა სისტემაა.

შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ლექცია ციკლიდან „საუბრები ლიტერატურაზე“ და ნამდვილი საჩუქარი მწერალთა სახლის ერთგული სტუმრებისთვის.

მოამზადა თამარ ჟურნალმა

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურნალი

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com